# სამედიცინო გაზეთი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გამოცემა

გამოდის 1957 წლიდან

№1 (250) იანვარი, 2012წ. www.tsmu.edu

სასწრაფო სამედიცინო სამსახური — თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად
გვ.2

მიკრობიოლოგიური ასპექტით
გვ.4

ცოდნის, მხატვრული სიტყვის და იუმორის ლამაზი სინთეზი
გვ.4

წიგნად ქცეული 90-წლიანი კათედრის ისტორია
გვ.4

გამოჩენილი ქირურგის, ცნობილი დასტაქრის, „სამედიცინო გაზეთის" დიდი გულშემატკივრის, პროფესორ გიორგი ბოჭორიშვილის ხსოვნის აღსანიშნავად
გვ.5-6

გრიგოლ გვიშიანი _ ცნობილი ქართველი ფარმაკოლოგი
გვ.6-7

„სამედიცინო გაზეთის"
რედაქცია:
ასათიანის ქ. №7;
ოთახი №600
ტ.: 254-24-64;
რედაქტორი
დალი გაბეშია
ტ: 599 76-25-98
კორესპონდენტები:
მანანა ფხალაძე
ტ.: 555 29 98 27
დარეჯან კომლაძე
ტ.: 558 17 08 47
ნატო ბოლქვაძე
ტ.: 555 28 28 97
დამკაბადონებელი
ლია კიკილაშვილი
ელ. ფოსტა:
medgazeti@yahoo.com

*საშობაო ეპისტოლედან*

## ქრისტე იშვა!.. გიხაროდეთ!..

**7 იანვარს მართლმორწმუნე ქრისტიანული სამყარო კიდევ ერთხელ დიდი სიხარულით შეეგება ქრისტეშობის ბრწყინვალე დღესასწაულს...**

**ყოველ შობას ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელი, უწმინდესი და უნეტარესი, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, ილია II, ჩვეული სითბოთი და სიყვარულით მიმართავს მრევლს და მიულოცავს ამ უდიადეს სასწაულს...**

**მკითხველს სიამოვნებით ვთავაზობთ ამონარიდს უწმინდესის და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, ილია მეორის საშობაო ეპისტოლედან, სადაც იგი მისთვის საჭირო და აუცილებელ გონივრულ აზრებს თუ რჩევას ამოიკითხავს.**

**2011 წლის მიწურულს, 25 დეკემბერს, ერთი მნიშვნელოვანი თარიღიც აღნიშნა ქართულმა მართლმადიდებლურმა სამყარომ – უწმინდესის აღსაყდრებიდან 34 წლისთავი. ამ არცთუ მცირე დროის მანძილზე მისი ბრძნული სიტყვა ესმის, ამხნევებს და ეიმედება ერს.**

**ვთხოვოთ უფალს კიდევ დიდხანს გაგვხადოს ღირსი კრძალვით და სიხარულით მოვისმინოთ უწმინდესის რჩევა-დარიგება, მისი ლოცვის მადლი და წყალობა კი დიდხანს არ მოაკლოს თითოეულ ქართველს და სრულიად საქართველოს...**



მადლობა უფალს, რომ კვლავ გავხდით ღირსნი, მოგვესმინა ანგელოსთა საოცარი საგალობელი: **„დიდება შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება"** (ლუკ. 2.14).

ყოვლადწმიდა სამების მოწყალებით **„სიტყვა ხორციელ იქმნა და დაემკვიდრა ჩვენს შორის სავსე მადლითა და ჭეშმარიტებით"** (იოან. 1.14). დიახ, **„დღეს დავითის ქალაქში დაიბადა... მაცხოვარი, რომელიც არის ქრისტე უფალი"** (ლუკ.2.11) **„და უწოდებენ სახელად ემმანუელს, რაც თარგმანებით ნიშნავს: ჩვენთან არს ღმერთი"** (მათ.1.23).

**გიხაროდენ ერნო, „რაც არ უხილავს თვალს, არ სმენია ყურს და არც კაცს გაუვლია გულში, ის განუმზადა ღმერთმა თავის მოყვარეთ"** (I კორ. 27.6)...

იგი მოვიდა ამქვეყნად, რათა მოუხმოს თავის ცხოვართ და აზიაროს ისინი ჭეშმარიტ თავისუფლებასა და ბედნიერებას... ამას ბევრი ვერ ხვდება, არამედ მხოლოდ ისინი, რომელნიც სიცოცხლის აზრს სწორად აცნობიერებენ. ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე დაფუძნებულ ცხოვრების საზრისს, შეიძლება **„ქრისტესმიერი გონება"** ეწოდოს, რადგან იგი, პირველ რიგში სულიწმინდის მადლმოსილებას გულისხმობს, შემდეგ კი — ადამიანურ შესაძლებლობებს.

„ქრისტესმიერი გონის" შესახებ შეიძლება ითქვას იგივე, რასაც წმინდა პავლე მოციქული ჭეშმარიტ სიყვარულზე წერს, რომ იგი არ ქედმაღლობს, არ ზვაობს, არ შურს, არ ეძებს თავისას, არ მრისხანებს, არ განიზრახავს ბოროტს, არ მოიწონებს უსამართლობას, არამედ ჭეშმარიტებით ხარობს, ყველაფერს იფარავს, ყველაფერი სწამს, ყველაფერს ითმენს, ყოველთვის იმედი აქვს.

ამ სულისკვეთებით ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპრები.

ქართული სულის ერთ-ერთი სახასიათო თვისება შოთა რუსთაველმა ასე გამოთქვა: **„რასაცა გასცემ შენია, რას — არა, დაკარგულია"...** აღნიშნული აფორიზმი შეიცავს ღრმა ქრისტიანულ სწავლებას სულის უკვდავების შესახებ. მორწმუნეს სწამს, რომ მის მიერ აღსრულებული უანგარო ქველმოქმედება სათნოა ღვთისთვისაც და ადამიანისთვისაც. ამასთან, იცის, რომ რასაც გასცემს ამქვეყნიურ დროებით ყოფაში, მას მარადიულ ცხოვრებაში დაიუნჯებს და ეს არის მიზეზი მისი სულიერი სიხარულისა, ხოლო რასაც არ გასცემს, ბუნებრივია, ის მას მარადიულ ყოფაში მოაკლდება.

სწორედ ასეთი აზროვნებიდან მომდინარეობს ქართველი კაცის სტუმართმოყვარეობა, ხელგაშლილობა, თანადგომისა და თავგანწირვის უნარი; ისიც, რომ იგი ყველაზე ძვირფასს, სიცოცხლეს, უშურველად წირავდა მოყვასისა თუ სამშობლოს საკეთილდღეოდ...

**„ხამს მოყვარე მოყვრისათვის, თავი ჭირსა არ დამრიდად, გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად",** — საუკუნეებია შთამომავლებს დევიზად გადაეცემათ ეს სიტყვები... ასე იზრდებოდნენ თაობები; რა თქმა უნდა, მათ შორის მუდამ იყვნენ კარიერისა და პირადი კეთილდღეობის სურვილით საკუთარი მეობისა და ქვეყნის ინტერესების ნებაყოფლობით უარმყოფელნი, მაგრამ დღემდე სწორედ იმიტომ მოვაღწიეთ, რომ ქართველი ხალხის უდიდესი ნაწილი გაჰყვა არა მათ, არამედ ჩვენი ეროვნული მეობისა და სარწმუნოებისთვის თავდადებულებს.

ახლა დრო შეიცვალა, თუმცა ბრძოლა ისევ გრძელდება; განსხვავება კი იმაშია, რომ თუ ადრე დაპირისპირებული მხარეების საჯარისო ნაწილები ომობდნენ, ახლა ბრძოლა ადამიანის საზრისის, ანუ აზროვნების წესისთვის მიმდინარეობს, რაც თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებით ხორციელდება; ძირითადად ამ გზით ვრცელდება ფსევდოკულტურა და ანტირელიგიურ ღირებულებათა სისტემები, რომელთა ქვაკუთხედსა და მამოძრავებელ ძალას ეგოიზმი წარმოადგენს. ეგოიზმის წინ წამოწევა ხელს უწყობს პიროვნებაში მომხმარებლური და მომხვეჭელური მისწრაფებების განვითარებას, რაც იწვევს საზოგადოების საერთო დეგრადაციას, ხოლო გარემოში — ეკოლოგიურ კატასტროფებს.

უარყოფითი საინფორმაციო ველი ყველაზე მეტად მომავალ თაობაზე მოქმედებს, ისინი ხომ ცხოვრების დიდ ნაწილს ტელევიზორთან და ინტერნეტთან ატარებენ... ფაქტია, რომ ელექტრონული მასმედიით, უარყოფითთან ერთად, ძალიან ბევრი საინტერესო ინფორმაციაც ვრცელდება ყველა სფეროში. ამაშია გლობალიზაციის ერთ-ერთი დადებითი მხარე და ეს უნდა გამოვიყენოთ სათანადოდ.

ვფიქრობთ, ამიტომაც კარგად უნდა ავითვისოთ ახალი ტექნოლოგიები და მათი საშუალებითაც გავუჩინოთ ახალგაზრდებს ღრმა აზროვნების სურვილი, ავისა და კარგის გარჩევის უნარი, გავუღვივოთ ინტერესი სხვადასხვა ქვეყნის ისტორიისა და კულტურისადმი, რათა დააფასონ სხვათა ღირსება და მათგან კეთილი შეითვისონ. მაგრამ ყოველივე ამას შეძლებს მხოლოდ ის, ვისაც მყარად აქვს ჩამოყალიბებული ეროვნულ-ქრისტიანული საზრისი. ამისთვის კი **აუცილებელია ვასწავლოთ მათ საქართველოს ისტორია და ლიტერატურა, ქართული ფოლკლორი,**

*(დასასრული მე-2 გვ.-ზე)*

*(პირველი გვერდიდან)*

**კულტურა და ჩვენი ქრისტიანული ტრადიციები... უნდა შევქმნათ კონკურენტუნარიანი საინფორმაციო გარემო, რომელიც ზემოაღნიშნულ ფასეულობებს დაეფუძნება და მათ თანამედროვეობასთან შეაზავებს. ეს კი დიდად დაეხმარება ახალგაზრდებს დამოუკიდებლად გასცენ პასუხი დროის გამოწვევებს.**

**ამაშია საქართველოს გადარჩენა.**

...ურწმუნოთა 70-წლიანმა ბატონობამ ჩვენს საზოგადოებას ღრმა კვალი დააჩნია და დაამახინჯა ჩვენი ცხოვრების წესი და აზროვნება; სხვადასხვა სახით ეს დღესაც ვლინდება, მათ შორის, მადლიერების განცდასთან მიმართებაშიც.

ღვთისადმი მადლიერების გამოხატვა საჭიროა როგორც მთელი ერისთვის, ისე ცალკეული პიროვნებისთვის, რადგან ასეთი დამოკიდებულება მადლის მოპოვების უმარტივესი და ერთ-ერთი მთავრესი საშუალებაა...



წმინდა მამები გვასწავლიან, რომ საიდუმლო სერობის შემდეგ ღვთის უდიდეს საიდუმლოს ნაზიარებ იუდას გულითადი მადლობა რომ ეთქვა იესო ქრისტესთვის, იმ საშინელ დაცემას თავიდან აიცილებდა. ამიტომაც იუდა, ღალატთან ერთად, უმადურობის სიმბოლოდაც მიიჩნევა.

...ჩვენდა სამარცხვინოდ, ხშირად მადლიერებას, ასე თუ ისე, ადამიანებისადმი უფრო ვიჩენთ, ვიდრე უფლის მიმართ. მოჩვენებით მადლიერებას კი, როგორც ყველაფერ ფარისევლურს, აზრი არა აქვს და სისაძაგლეა ღვთისა და კაცის წინაშე...

...უმადურობა ამპარტავანთა, ანუ ყველაზე დიდი და საშინელი ცოდვის მქონეთა, ერთ-ერთი თვისებაა; მაშინ, როდესაც გულწრფელი მადლიერება თავმდაბლობის გამოხატულებაა და ასეთ ადამიანებს ახასიათებთ. ღმერთს მადლობა უნდა შევწიროთ ყველაფრისთვის, მათ შორის ავადმყოფობისა და სხვადასხვა განსაცდელთათვის, რადგან უფლის განგებულებით აღესრულება ყოველი და იგი აუცილებელია ჩვენი სულიერი აღზრდისა და ცხონებისთვის...

შეჭირვებისა და მწუხარების მადლიერებით დათმენის საუკეთესო მაგალითია კონსტანტინეპოლის პატრიარქი, წმინდა იოანე ოქროპირი... სწორედ მას ეკუთვნის ცნობილი სიტყვები: „მადლობა ღმერთს ყველაფრისთვის", რაც, ფაქტობრივად, პავლე მოციქულის ნათქვამის გამეორებაა: **„მადლიერნი იყავით ყველაფრისთვის, რადგან ასეთია თქვენდამი ნება ღმრთისა ქრისტე იესოში".**

ასეთი დამოკიდებულება სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს მძიმე მდგომარეობას უნდა შევეგუოთ და ხვედრს დავმორჩილდეთ, ანუ ბედისწერის შესახებ არასწორი სწავლება გავიზიაროთ. არა, მუდამ საჭიროა ლოცვა და სწორი ქმედება, როგორც ბრძანებს უფალი: „ითხოვდით და მოგეცეს თქვენ, ეძიებდეთ და — ჰპოვოთ". ოღონდ ამას არ უნდა ახლდეს დრტვინვა და მრისხანება, არამედ შემოქმედისადმი ყოველივე მადლიერებით უნდა აღესრულებოდეს და თუ ჩვენი სურვილი იმ ეტაპზე ჩვენი სულისთვის სასარგებლოა, მაცხოვარი აუცილებლად შეისმენს მას...

**მაშინ, როდესაც მოიწევა აღსასრული, „წინასწარმეტყველებანი განქარდებიან, ენები დადუმდებიან და უქმი გახდება ცოდნა (კორ. 13.8)", როდესაც რწმენაც განხორციელდება და აღსრულდება სასოებაც, ადამიანის სულს სასუფეველში მხოლოდ სიყვარულის გრძნობა და მადლიერების განცდა გაჰყვება. იგი ჭეშმარიტი სიყვარულის თანმდევია ამქვეყნიურ ცხოვრებაშიც და მასთან ერთად ზეიმობს მარადიულ ნეტარებაში...**

...მადლი არ იყიდება და არც სხვა საშუალებით გადაეცემა. ნებისმიერმა ჩვენგანმა უნდა ილვაწოს, იმდენი მადლი მოიპოვოს, რომ ცხონდეს. ამისთვის კი თავმდაბლობა უპირველესი პირობაა. უფალი ბრძანებს: **„ამპარტავანთა შემუსრავს ღმერთი, ხოლო მდაბალთ მონანიჭებს მადლს"** (I პეტრე 5. 5)... ადამიანს რაც უფრო მაღალი აქვს თანამდებობა და პასუხისმგებლობა, მადლმოსილებაც მეტი მართებს. **მადლმოსილ პიროვნებათა სიმრავლე ქმნის ერის კეთილდღეობას, მადლის სიმცირე კი ხშირად განაპირობებს მის განსაცდელში ყოფნას. ჩვენი პრობლემების უმეტესობაც მადლის ნაკლებობიდან მომდინარეობს.**

ადამიანთა დიდი ნაწილის სარწმუნოება დღესაც ნელთბილია, რადგან ყველაფერს გარეგნულად უგულოდ აკეთებენ. ქრისტეს სახელი მხოლოდ გონებასა და ბაგეებზეა, გულში კი ისევ „ძველი კაცი" სახლობს. ისინი, მართალია, ამბობენ აღსარებას და ასრულებენ საეკლესიო წესებს, მაგრამ მათთვის უცხო არ არის განკითხვა, ცილისწამება, ამპარტავნება, სიცრუე, ეჭვი, უსიყვარულობა, გულგრილობა, სიზარმაცე, შური, მრისხანება... დაცემა და ადამიანური სისუსტენი ყველას აქვს, მაგრამ „მორწმუნეთა" ამ ნაწილისთვის ორმაგი სტანდარტებით ცხოვრება მისაღები გახდა და შეეჩვივნენ ამ მდგომარეობას. ღმერთისთვის კი ასეთნი მიუღებელნი არიან და, ბუნებრივია, არც მათი სათხოვარი შეისმინება. წმინდა იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებაში ვკითხულობთ: „ვიცი საქმენი შენნი; არც ცივი ხარ და არც ცხელი; ოჰ, ნეტავ ცივი მაინც იყო, ან ცხელი. მაგრამ რაკი ასე ნელ-თბილი ხარ... ამიტომ ამოგანთხევ პირისაგან ჩემისა". ღმერთმა ნუ ქნას ამ მდგომარეობაში დაამთავროს ვინმემ სიცოცხლე.

მაშ, მოვიკრიბოთ შინაგანი ძალა, ვისწავლოთ სწორი დამოკიდებულება ღვთისა და მოყვასისადმი; დავიწყოთ ყველაზე მარტივით, მადლიერებით... კაცთა შორის განსაკუთრებული მადლობა გვმართებს მშობლებისადმი, **„რათა კეთილი გვეყოს და დღეგრძელ ვიყოთ ქვეყანასა ზედა".** ასევე უნდა მოვიქცეთ ხანდაზმულთა და გარდაცვლილ წინაპართა მიმართ. განვაგდოთ ჩვენგან „ძველი კაცი", გულის კარი გავუღოთ მაცხოვარს; და იგი ჩვენში აუცილებლად დაივანებს, ხოლო როდესაც ეს აღსრულდება, დავინახავთ რომ ჩვენს შინაგან სამყაროში ყველაფერი ძირფესვიანად შეიცვლება და უფალიც მოგვაგებს თხოვნისამებრ...

საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებნო ყოველნო ქართველნო, აფხაზნო, ოსნო და ბერძენნო, რუსნო და უკრაინელნო, აზერბაიჯანელნო და სომეხნო, ასირიელნო და უდინნო..., საქართველოს მკვიდრნო ყველა სხვა ერის წარმომადგენელნო, მართლმორწმუნენო, **„მოიპოვეთ შეუძვრელი სასუფეველი და იქონიეთ მადლი და „მოადექით თქვენ სიონის მთას და ქალაქს ცოცხალი ღმერთისას, ზეციურ იერუსალიმს და ანგელოზთა უხილავ სიმრავლეს. მოზეიმე საკრებულოს და ცაში ჩაწერილ პირმშოთა ეკლესიას და ახალი აღთქმის შუამდგომელს იესოს" (ებრ. 12. 28, 22-23) და გიხაროდეთ, რამეთუ დღეს იშვა ქრისტე!**

სიყვარულით თქვენთვის
მლოცველი ილია II,
სრულიად საქართველოს
კათალიკოს-პატრიარქი
შობა ქრისტესი,
თბილისი, 2012 წელი

---

*ნომრის სტუმარი*

# ოპერატიული, ხარისხიანი და თანამედროვეობის შესაბამისი



**რუსუდან ბერიაშვილი – ქალაქ თბილისის მერიის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის სამედიცინო მენეჯერი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სასამართლო მედიცინის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი – „სამედიცინო გაზეთის" 2012 წლის პირველი თვის ნომრის სტუმრად მოვიწვიეთ. ქალბატონ რუსუდანს ვთხოვეთ მკითხველისთვის დედაქალაქის სასწრაფო სამედიცინო სამსახურში მიმდინარე მნიშვნელოვანი ცვლილებების, პერსპექტივის, ასევე, ამ სამსახურის და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამომავლო ურთიერთობების შესახებ ესაუბრა.**

— თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი და დედაქალაქის მერიის შესაბამისი ცენტრი, გასულ წელს ჩამოყალიბდა, მანამდე კი გადაუდებელი და საგანგებო სიტუაციების სამსახურში მოიაზრებოდა.

ჩვენ, როგორც თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის სამართალმემკვიდრეებმა, უკანასკნელ ხანს გარკვეული ტიპის ცვლილებების გატარება დავიწყეთ, მათი საჭიროება დრომ მოიტანა — არსებობს სტანდარტები, რომელთაც აუცილებლად უნდა მივყვეთ, რაღაც განვაახლოთ, წინ წავიწიოთ, რომ არ ჩამოვრჩეთ სამედიცინო მომსახურების მოთხოვნებს და, შესაბამისად, დაცულ იქნეს პაციენტის უფლებები და მომსახურეობის დონეც ამაღლდეს. ყველა ცვლილება, რომელიც უკვე განხორციელდა, ან ამჟამად მიმდინარეობს თუ მომავლისთვის იგეგმება, ემსახურება ერთ მიზანს — მოხდეს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მუშაობის ოპტიმიზაცია, მომსახურების გაუმჯობესება ოპერატიული, ხარისხიანი და შედეგიანი სამედიცინო დახმარების მისაღწევად, რომ პაციენტებმა მიიღონ უფრო მეტად ხარისხიანი მომსახურება და მათი მხრიდან იმატოს კმაყოფილებამ და, ზოგადად, — იმიჯმა და რენომემ სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა დედაქალაქში.

პირველ რიგში, ცვლილებები შეეხო მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, რაც, ცხადია, მნიშვნელოვან ფინანსურ დანახარჯებთანაა დაკავშირებული. შესაბამისად, ბიუჯეტის დაგეგმვაც მოხდა გარკვეული ცვლილებების გათვალისწინებით — შედეგად, შეივსო და განახლდა ავტოპარკი. ცენტრმა შეისყიდა 11 ახალი ავტომანქანა, რომელიც დაემატება ამჟამად ექსპლუატაციაში მყოფებს. აღსანიშნავია, რომ ეს ავტომანქანები აღჭურვილია ყოველნაირი აპარატურით და მედიკამენტებით, რათა, ძირითადად, ადგილზევე მოხდეს სამედიცინო დახმარების გაწევა. ასე რომ, სულ მალე დედაქალაქის სამედიცინო დახმარების ცენტრს კიდევ 10 ახალი ბრიგადა დაემატება.

დღეისთვის თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი, ადმინისტრაციული ნაწილის გარდა, მოიცავს 12 ფილიალს, რომლებიც განაწილებულია თბილისის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის — რაიონების — მიხედვით და, იმის მიუხედავად, რა მანძილითაა დაშორებული პაციენტი, ძალიან სწრაფად და ოპერატიულად ვახერხებთ მასთან მისვლას და სასწრაფო სამედიცინო დახმარების აღმოჩენას. და, თუმც, მისვლის ოპერატიულობა უკვე არსებობს, გვინდა, რომ ეს მაჩვენებლები უფრო გაიზარდოს, რისთვისაც უახლოესი დროისთვის დაგეგმილია სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადებისთვის შემოვიტანოთ პორტატული კომპიუტერები, რათა მათ მიეცეთ საშუალება, მუდმივად იყვნენ ქსელში ჩართულნი უწყვეტ რეჟიმში სამუშაოდ, ასევე, ჰქონდეთ ნებისმიერი სახის კონსულტაციის იოლად და სწრაფად მოპოვების საშუალება. ექიმებს შეეძლებათ კომპიუტერში მონაცემების სწრაფი შეყვანა, ასევე, განსაზღვრა ჰოსპიტალისა პაციენტის გადასაყვანად და, რაც მთავარია, კომპიუტერში იქნება გამოძახების ადგილამდე მისასვლელი რუქა უმოკლესი მანძილის მინიშნებით შეცდომის მაქსიმალურად გამოსარიცხად.

**„სიცოცხლის ვარსკვლავი"** — ასე ჰქვია სასწრაფო სამედიცინო დახმარების სიმბოლოს და მოიცავს იმ პარამეტრებს, რითაც იგი ხასიათდება — ადგილზე დროულად მისვლა, კვალიფიციური დახმარების მაქსიმალურად აღმოჩენა, ჰოსპიტალიზაციის განსაზღვრა, საჭიროების შემთხვევაში — სწრაფად გადაყვანა, გადაყვანის პერიოდში გზაში ჩატარებული სიცოცხლის შემანარჩუნებელი ღონისძიებების ჩატარება, ჰოსპიტლამდე მიყვანა სიცოცხლის შენარჩუნებით და დროულად დაბინავება.

რაც შეეხება ჩვენი ექიმების რეალურ კვალიფიკაციას, ამ მიმართულებით სერიოზულად ვმუშაობთ, კონკრეტულად, უკვე მიმდინარეობს ტრეინინგები იუსტიციის სამინისტროს სასწავლო ცენტრში, სადაც ისინი ეფექტური მომსახურებისა და კონფლიქტური სიტუაციების მართვის კურსებს გადიან, მიზანი: სიტუაციის ეფექტური მართვა პაციენტისგან სწორი ინფორმაციის მისაღებად. ძალიან მნიშვნელოვანი ტრეინინგია, სადაც ექიმები პრაქტიკული მაგალითებით სწავლობენ თუ როგორ უნდა მოიქცნენ მაქსიმალური ნდობის მოსაპოვებლად იმ შემთხვევაში, როცა ამ ნდობას მართლაც იმსახურებენ. გარდა ამისა, დაგეგმილია პროფესიული ტიპის ტრეინინგები, ელემენტარული გადამზადებით — ვიწრო პროფილიდან, დასრულებული მსხვილი ტრეინინგებით. ასე, რომ ჩვენს ექიმებს ექნებათ ყველანაირი საშუალება, მუდმივად აიმაღლონ კვალიფიკაცია, შესაბამისად, მოსახლეობა მიიღებს მაღალი ხარისხის სასწრაფო სამედიცინო დახმარებას. ეს ყველაფერი ძალიან მალე აუცილებლად დაეტყობა მდგომარეობას და მოსახლეობის კმაყოფილებაზე აისახება.

ასე, რომ მოლოდინი დიდია — განახლებული სამედიცინო-ტექნიკური ბაზა, ახალი მანქანები, რომლებიც გაცილებით სწრაფად და ოპერატიულად იმოძრავებენ და ნაკლებ ტექნიკურ პრობლემებს შექმნიან გადაყვანისას, ასევე, თანამედროვე აღჭურვილობა ექიმს მისცემს საშუალებას, აღმოუჩინოს პაციენტს საერთაშორისო დონის სამედიცინო დახმარება, მორგებული ქვეყნის სტრუქტურასა და მოსახლეობის მოთხოვნაზე.

მოხარული ვართ სამედიცინო უნივერსიტეტთან ნებისმიერი თანამშრომლობისა, რომელთანაც ძალზე ინტენსიური კავშირები გვაქვს — ჩვენმა ექიმებმა, ჯანდაცვის სამინისტროს სალიცენზიო მოთხოვნების შესაბამისად, სამედიცინო უნივერსიტეტის ბაზაზე გაიარეს ორთვიანი კურსები გადაუდებელ მედიცინაში. გარდა ამისა, სამედიცინო უნივერსიტეტიდან გვაქვს შემოთავაზება ლექციების ციკლის ჩატარებასთან დაკავშირებით კონკრეტული ტიპის კვალიფიკაციის ამაღლებისა და მჭიდრო თანამშრომლობის თვალსაზრისით. ამ თანამშრომლობაში ჩვენ დიდ პერსპექტივას ვხედავთ და მივესალმებით.

მოამზადა დარეჯან კომლაძე

CMYK

# მოზრდილთა სწავლების პრინციპები და პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება



**ახალგაზრდობის სწავლის თუ სწავლების საკითხი დღემდე უმნიშვნელოვანეს პრობლემად რჩება. დროის მსვლელობასთან ერთად, იცვლება დამოკიდებულება ამ თემისადმი, რადგან თანამედროვეობა ახალ მოთხოვნებს აყენებს.**

**ჩვენმა გაზეთმა ამ საკითხზე სასაუბროდ რამდენიმე ხნის წინ ადგილი დაუთმო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილეს, პროფესორ რიმა ბერიაშვილს.**

**ამჯერადაც მკითხველს ვთავაზობთ წერილს ანდრაგოგიკის – მოზრდილთა სწავლების თავისებურებების შესახებ, რომელიც კვლავ ქალბატონმა რიმა ბერიაშვილმა მოგვაწოდა.**

**მკითხველს ჩვენი გაზეთის საშუალებით შესაძლებლობა ეძლევა გაეცნოს და წარმოდგენა იქონიოს თანამედროვე ხედვაზე აღნიშნული საკითხის ირგვლივ.**

მოზრდილთა სწავლების (Adult Learning, ინგლ. „ადულტ" – დიდი, მოზრდილი, მოწიფული, უფროსი, ზრდასრული) პრინციპებს დღემდე არაერთი ნაშრომი მიეძღვნა. საერთო, რისი განზოგადებაც ამ ნაშრომებიდან არის შესაძლებელი, მოზრდილთა სწავლებას ბავშვთა სწავლებისაგან შემდეგი ნიშნებით გამოარჩევს:

- **ინტელექტის კულტივაცია, („კულტივაცია" ამ კონტექსტში გულისხმობს სოციალიზაციას სწავლების მეშვეობით, გონებისა და ქცევების გასავითარებლად);**
- **ინდივიდუალური თვითაქტუალიზაცია;**
- **პიროვნული და სოციალური სრულყოფა;**
- **სოციალური ტრანსფორმაცია;**
- **ორგანიზაციული ეფექტურობა.**

მოძღვრებას მოზრდილთა სწავლის თავისებურებებზე ანდრაგოგიკა ეწოდება. ანდრაგოგიკა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ანალიზის უნარს, რაც მოზრდილებში ცხოვრებისეული გამოცდილებით არის მიღებული. სწორედ ამიტომ და იმ მიზეზის გამოც, რომ ანდრაგოგიკას დიპლომამდელ სამედიცინო სწავლებაში ფართოდ გამოიყენებენ, ამ კონცეფციის პრინციპებზე და მის პრაქტიკაში გამოყენებაზე ყურადღებას განსაკუთრებით გავამახვილებთ.

„ანდრაგოგიკის" ცნება პირველად ამერიკელმა მეცნიერმა Malcolm Knowles-მა შემოიღო ჩრდილო ამერიკაში, და განმარტა, როგორც „მოზრდილთა სწავლის პროცესში მიხმარების ხელოვნება და მეცნიერება". გთავაზობთ Knowles-ს მიერ შემუშავებულ ხუთ პოსტულატს:

### ანდრაგოგიკის პოსტულატები

1. ადამიანის ზრდის პროცესში იცვლება თვითშემეცნება; სხვაზე დამოკიდებული მდგომარეობიდან პიროვნება გადადის დამოუკიდებელ, თვითმართვად მდგომარეობაში. მოზრდილი პიროვნება უკვე თვითონ არკვევს სწავლის საკუთარ საჭიროებას და ეძებს ამ საჭიროებათა მიღწევის საშუალებებს.

2. მოზრდილი ადამიანი თანდათანობით იგროვებს გამოცდილებას, რაც სწავლისთვის მდიდარ საფუძველს ქმნის. თავისი გამოცდილების მიხედვით მან შეიძლება კიდევ მოინდომოს ახლისა და ახლის სწავლა და ამით კიდევ უფრო გაიფართოოს ინტერესები. ასე, რომ პიროვნული გამოცდილება ახალი ცოდნისა და უნარების ეფექტურ და მყარ საფუძველს წარმოადგენს.

3. მოზრდილი ადამიანისთვის სწავლისთვის მზადყოფნა მჭიდროდ არის დაკავშირებული მის სოციალურ როლთან და მოვალეობების ზრდასთან. მოზრდილი პიროვნება განსაკუთრებით აფასებს სწავლის პროცესს, როცა შესასწავლი საგანი მისი ყოველდღიური საქმიანობის მოთხოვნებს მიესადაგება.

4. ადამიანის ზრდასთან ერთად იცვლება დროსთან დამოკიდებულებაც. ადრე თუ ის ცოდნის გამოყენებას მომავალში აპირებდა, ახლა, აწმყო დროში, ყოველდღიურ საქმიანობაში აპირებს. ასე, რომ მოზრდილი პიროვნება პრობლემაზე უფრო მეტად არის კონცენტრირებული, ვიდრე მთლიანად – შესასწავლ დისციპლინაზე. საზოგადოდ, მოზრდილი სწავლის პროცესს აფასებს იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად გამოიყენებს მას იმ აუთენტურ, რეალურ პრობლემებთან მიმართებაში, რასაც ყოველდღიურ ცხოვრებაში აწყდება.

5. მოზრდილი ადამიანი სწავლისათვის მოტივირებულია შინაგანად და ნაკლებად – სხვისი, გარეგანი ფაქტორების გავლენით. შინაგანი მოთხოვნილება – იყოს წარმატებული, იგრძნოს ახლის შემეცნებით მიღებული კმაყოფილება, განახორციელოს დასახული მიზნები, გარედან მიღებულ წახალისებასთან და ჯილდოებთან შედარებით უდიდეს გავლენას ახდენს *მოტივაციის მდგრადობაზე*.

იმის გათვალისწინებით, რომ მოზრდილის სოცოცხლის წირი მკვეთრად განსხვავდება ბავშვისგან, მოზრდილთა სწავლების თეორიას მკვლევრებმა ბევრნაირი გამოყენება მოუძებნეს. მოზრდილთა და ბავშვთა სწავლებისა და სწავლის ყველა განსხვავება სამ ჯგუფად დაიყო: გარემო, მოსწავლე და სასწავლო პროცესი.

## გარემო

ბავშვები კეთილდღეობით უფროსებზე არიან დამოკიდებული, მაშინ, როცა მოზრდილი ადამიანი თავის ცხოვრებას თვითონვე წარმართავს. როგორც წესი, ზრდასრული ადამიანისთვის მოწაფედ ყოფნა მხოლოდ ერთ-ერთია იმ მრავალრიცხოვანი როლიდან, რომელსაც ის ასრულებს. ბავშვთა სწავლება ძირითადად სასკოლო გარემოში ხორციელდება მაშინ, როცა მოზრდილი ადამიანი უკეთესად სწავლობს იმ გარემოში, სადაც, სიტუაციიდან გამომდინარე, სპეციფიური უნარების ათვისება უწევს სათანადო პრობლემის გადასაწყვეტად.

## მოსწავლე

როგორც Knowles-ი აღნიშნავს, განსხვავება ზრდასრულ ადამიანსა და ბავშვს შორის სასწავლო პროცესზეც უნდა აისახოს. განსხვავება ამ თვალსაზრისით, პირველ რიგში, გულისხმობს თვითმართვის უნარს, გამოცდილების მარაგს, სოციალური როლის გაცნობიერებას, სურვილს, რაც შეიძლება დაუყოვნებლად იქნეს გამოყენებული მიღებული ცოდნა რეალური პრობლემების გადასაწყვეტად და მაღალ შინაგან მოტივაციას.

## სასწავლო პროცესი

როგორც კვლევებმა აჩვენა, სამი არაშემეცნებითი ფაქტორი ახდენს გავლენას მოზრდილთა სწავლების პროცესზე:

- **ტემპი (დამოკიდებული დავალების შესრულების საბოლოო დროზე, ე.წ. „დედლაინზე" თუ გრაფიკზე)**
- **მნიშვნელობა**
- **მოტივაცია**

შესრულების ვადებზე მკაცრი კონტროლი და სხვა ნებისმიერი ზეწოლა შეიძლება არასასურველად აისახოს სასწავლო პროცესზე, ვინაიდან მოზრდილს ისედაც ბევრი სხვადასხვა ვალდებულება აქვს. ზრდასრული ადამიანი ცუდად ასრულებს ყველა იმ დავალებას, რომელიც უმნიშვნელოა, აზრსმოკლებული და ნაკლებად სერიოზული, ან არ შეესაბამება მისი ინტერესის სფეროს. ყველა ზემოჩამოთვლილი მტკიცება პრინციპებად შეიძლება ჩამოყალიბდეს.

### მოზრდილთა სწავლების პრინციპები Knowles-ის მიხედვით

1. უნდა შეიქმნას ეფექტური სასწავლო ატმოსფერო. მოზრდილმა მოსწავლეებმა თავი უნდა იგრძნონ კომფორტულად როგორც ფიზიკურად, ისე ემოციურად, დაცულად და თავისუფლად, სადაც გამოთქმულ აზრზე არავინ განიკითხავს და არავინ დასცინებს.

2. მოზრდილი მოსწავლეები ჩართულნი უნდა იყვნენ სასწავლო მეთოდიკის და პროგრამის შერჩევის და დაგეგმვის პროცესებში. მათი შინაარსობრივი ჩართულობა თანამშრომლობას უზრუნველყოფს მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში და ზრდის მოთხოვნილებათა რელევანტურობას (მართებულებას).

3. მოზრდილი მოსწავლეები უნდა მონაწილეობდნენ მოთხოვნილებების განსაზღვრის და შეფასების პროცესებში. ეს სასწავლო პროცესს მეტ მნიშვნელობას მიანიჭებს და მოსწავლის შინაგან მოტივაციას აღძრავს. ამასთანავე, ხელს შეუწყობს თვითშეფასებას და ფიქრს სასწავლო საგნის ირგვლივ.

4. მოზრდილ მოსწავლეებს უნდა მიეცეთ საშუალება თვითონვე განსაზღვრონ სასწავლო ობიექტი. ეს მტკიცება იგივე საფუძვლებს ემყარება, რაც ზემოთ, მე-3 პუნქტშია, მოცემული. ამით მოსწავლე მეტ პასუხისმგებლობას იღებს სწავლების შედეგზე.

5. მოზრდილ მოსწავლეებს უნდა მიეცეთ საშუალება დასახული მიზნის მისაღწევად თვითონ განსაზღვრონ სასწავლო რესურსები და მათი გამოყენების საშუალებები. ეს პრინციპი მოზრდილთა სწავლის მოთხოვნილებას აკავშირებს მიზნის განხორციელების პრაქტიკულ საშუალებებთან და, ასევე, ქმნის რესურსების გამოყენების მოტივაციას სპეციფიური ამოცანების გასახორციელებლად.

6. მოზრდილ მოსწავლეებს უნდა მივეხმაროთ მათ მიერ დასახული სასწავლო გეგმის განხორციელებაში. მოტივაციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი წარმატების მოლოდინია. მოსწავლე რჩება გაწბილებული და კარგავს მოტივაციას, თუ მიცემული დავალება ძალიან ძნელი შესასრულებელია. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ზედმეტ სიმკაცრესა და ფსიქოლოგიურ წნეხს, რასაც, საბოლოოდ, სწავლის სურვილის დაკარგვასთან მივყავართ.

7. მოზრდილი მოსწავლეები უნდა მონაწილეობდნენ ნასწავლის შეფასების პროცესში. ეს თვით-მართული სასწავლო პროცესის არსებითი საფეხურია (32), რაც მოითხოვს კრიტიკულ აზროვნებასა და გამოცდილებას.

## მოზრდილთა სწავლების მაგალითი: პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (Problem-based Learning, მოკლედ – PBL) ანუ პრობლემაზე-ორიენტირებული სწავლება მოზრდილთა სწავლების პრინციპებს ემყარება და დიპლომამდელ სამედიცინო განათლებაში დასავლეთში ფართოდ გამოიყენება. ერთი შეხედვით, არაფრით განსხვავდება ჩვენში ფართოდ გავრცელებული სწავლების წესისაგან _ სტუდენტები კვირაში 3-ჯერ ხვდებიან პროფესორს 2-2 საათით, ჯგუფი 7-8 კაციანია, ხდება კლინიკური შემთხვევის განხილვა. **კლინიკური შემთხვევა პრობლემაა, რომლის ირგვლივაც კლინიკური მსჯელობა იმართება.** კლინიკური შემთხვევა სტიმულია, რომლის განხილვაც შესაბამისი საბაზისო, კლინიკური, სოციალური და ქცევითი მეცნიერებებიდან ცოდნის შესაბამის მარაგს ითხოვს. ქვემოთ დაწვრილებით აღვწერთ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების პროცესს, მანამდე კი მინდა გითხრათ, რომ ამ საკითხს შრომათა უამრავი რაოდენობა მიეძღვნა, ყველა ცდილობდა მისთვის რაციონალური დასაბუთება მოეძებნა. ავტორთა უმრავლესობა თვლის, რომ პრობლემაზე-დაფუძნებული სწავლება კ ო გ ნ ი ტ ი უ რ ფსიქოლოგიას ემყარება და სამ ძირითად პრინციპზეა დაფუძნებული.

- პირველი, ადრე მიღებული, „ძველი", ცოდნის გააქტივება აჩქარებს ახალი ინფორმაციის გადამუშავებას. კლინიკური შემთხვევაზე მსჯელობა მცირე ჯგუფში ემსახურება ადრე, სწავლის წინა ეტაპებზე მიღებული ცოდნის გააქტივებას. ეს Knowles-ის იმ პრინციპს შეესაბამება, რომ მოზრდილ მოსწავლეებს უკვე წინასწარ დაგროვილი აქვთ ცოდნისა და გამოცდილების მარაგი, რაც პრობლემის გადაწყვეტის მდიდარი საფუძველია.
- მეორე, პრობლემაზე-დაფუძნებული სწავლება კ ო ნ ტ ე ქ ს ტ უ ა ლ უ რ ი სწავლებაა. ეს ნიშნავს, რომ ინფორმაცია ყველაზე უკეთესად შეითვისება გარკვეულ კონტექსტში, რომელიც სქემას, ჩარჩოს ქმნის ახლის გაგებისა და დამახსოვრებისათვის და ამით ხელს უწყობს ეფექტურად გახსენებას მომავალში. პროცესი აქტიურია, ინფორმაცია მიეწოდება იმ კონტექსტით, რა კონტექსტითაც მომავალში, პრაქტიკულ საქმიანობაში, შეხვდება. მომავალი ექიმისათვის საბაზისო განათლების გამოყენება და კლინიკური აზროვნების უნარების განვითარება ავადმყოფის ისტორიის განხილვით ხდება. ასე რომ, დავალებები აუთენტურია და რეალურ პრობლემებს წარმოადგენს. ეს კი Knowles-ის იმ პრინციპს შეესაბამება, რომ მოზრდილებს გააზრებული უნდა ჰქონდეთ, თუ რისთვის სწავლობენ, ვინაიდან მათ ნასწავლის გამოყენების სურვილი რეალურ, ცხოვრებისეულ სიტუაციაში უჩნდებათ.
- მესამე, პრობლემაზე-დაფუძნებული სწავლების პრიცაპი ერთობლივი მსჯელობა, ელაბორაციაა. ახალი ინფორმაციის ათვისება, მისი გახსენება და გამოყენება ყველაზე უკეთესად ხდება, თუ ამ ინფორმაციაზე ერთობლივად იმსჯელეს, იკამათეს, კრიტიკულად გაანალიზეს, სხადასხვა კუთხით შეხედეს და იფიქრეს. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების არსი მცირე ჯგუფში სტუდენტების მიერ კლინიკური შემთხვევის, ავადმყოფის ისტორიის ე რ თ ო ბ ლ ი ვ ი განხილვა, მსჯელობა და კამათია.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება 1969 წელს კანადაში, მაკმასტერის უნივერსიტეტში დაიწყო პირველად მაშინვე, როცა ეს უნივერსიტეტი გაიხსნა. ახლად გახსნილი უნივერსიტეტისათვის სათანადო დისციპლინებისა და ამ დისციპლინების შესაფერისი პროგრამების ძიებისა და დამუშავების პროცესში, ბიზნესში მიღებული ე.წ. „case study"-იც განიხილებოდა. 1970 წელს მაკმასტერის უნივერსიტეტში მოღვაწეობა დაიწყეს Howard Barrows-მა და Victor Neufeld-მა, ეს ორი ადამიანი შემდგომში სამედიცინო განათლებაში პრობლემაზე-დაფუძნებული სწავლების აქტიური მსოფლიო ექსპორტიორი გახდა. Barrows-მა, რომელსაც ხშირად უწევდა ახსნა, თუ რა იყო PBL, 1986 წელს, პრობლემაზე-დაფუძნებული სწავლების ტაქსონომია გამოაქვეყნა. ტაქსონომია შემთხვევის, „case" ის შესწავლას ეყრდნობოდა, რაც ინსტრუქტორის მიერ პრაქტიკულად ავადმყოფის სრულიად დამუშავებულ- „გადაღეჭილი" ისტორიის წარდგენით იწყებოდა.

როგორც Howard Barrow-ი აღნიშნავდა, „პრობლემაზე-დაფუძნებული სწავლების არსია: პირველ რიგში პრობლემის, საკითხის დასმა, პრობლემის გადაწყვეტის გზების ძიება, რაც თავისთავად კლინიკური აზროვნების უნარს აყალიბებს, ინტერაქტიულ პროცესში შემდგომი სწავლების საჭიროებათა დადგენა, თვით-სწავლა, მიღებული ცოდნის პრობლემასთან მისადაგება და საბოლოოდ, იმისი შეჯამება, თუ რა იქნა ნასწავლი". ზემოთ დასახელებული პროცესის დროს სტუდენტი საინფორმაციო რესურსების შეფასებასაც ახდენს და აანალიზებს კიდეც, უკეთესად რა შეიძლებოდა განხორციელებულიყო.

მთელი „მაკმასტერის ფილოსოფია" სამ ძირითად პრინციპს ეყრდნობა:

- **დამოუკიდებელი სწავლა**
- **პრობლემის გარშემო, მასზე ორიენტირებულად სწავლა**
- **მცირე ჯგუფში ე.წ. ტუტორიული სწავლა**

ამ პრინციპების ირგვლივ მსჯელობა ბევრჯერ გამართულა, მაგრამ რასაც ყველა ერთხმად აღიარებს, პაციენტის ისტორიის ირგვლივ სწავლების მნიშვნელობაა. რა ვარიაციებიც უნდა განიცადოს სწავლების ამ მეთოდმა მომავალში, რასაც ცხადია, მისი დამფუძნებლების აღშფოთება მოჰყვება, რომლებიც ყველა სახეცვლილებას მეთოდის კორუფციად და ეროზიად მიიჩნევენ ალბათ, პაციენტს, როგორც პრობლემას და სწავლების ორიენტირს, ამ მეთოდისათვის ყოველთვის კრიტიკული მნიშვნელობა ექნება. ასეა თუ ისეა, პრობლემაზე-დაფუძნებული სწავლება დასავლეთ სამყაროში დღეისათვის ფართოდ არის გავრცელებული და მეთოდის ირგვლივ ჩატარებული კვლევები, ამ მეთოდს იმ მისიის შესრულებაში ეხმარება, რა მისიაც მის დამფუძნებლებს ჰქონდათ განზრახული.

ბოლო წლებში მოძღვრება პრობლემაზე-დაფუძნებული სწავლების შესახებ კიდევ უფრო განვითარდა და მას მაასტრიხტის 7-საფეხურიანი მეთოდი დაემატა. მაასტრიხტის მეთოდს სხვანაირად „როგორ გავაკეთოთ" ინსტრუქციას უწოდებენ, ის ძალიან პოპულარულია.

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

მიკრობიოლოგიური ასპექტი

# რა არის „მეხუთე დაავადება?“



ჩვენი ქვეყნისთვის იშვიათი დაავადება, თუმც საკმაოდ ხშირი ბავშვთა ასაკში, „მეხუთე დაავადების“ სახელითაა ცნობილი. მისი ზუსტი დიაგნოზი კლინიკურად ძალიან იშვიათად დგინდება. სინამდვილეში იგი მსოფლიოში საკმაოდ ფართოდ გავრცელებული დაავადებაა, რომელიც გამოწვეულია პარვოვირუსის B19 სეროტიპით და ბავშვებში ცნობილია „მეხუთე დაავადების“ სახელით წითელას, წითურას, ქუნთრუშას და ჩუტყვავილას შემდეგ. მაგალითისთვის, აშშ-ში 18 წლის ასაკის ზევით მოსახლეობის 65%-ს აღენიშნება ამ ვირუსის საწინააღმდეგო ანტისხეულების არსებობა. ინფექციის წყარო მხოლოდ დაავადებული ადამიანია. ეს არის ძირითადად ბავშვთა ასაკის დაავადება, თუმცა დაინფიცირება შესაძლებელია მოხდეს ზრდასრულ ასაკშიც. მას ახასიათებს სეზონურობა, კერძოდ, ხშირია შემთხვევები გვიან ზამთარსა და გაზაფხულზე. გადაცემის მექანიზმი, უპირატესად, ჰაერ-წვეთოვანია, თუმცა, შესაძლებელია, პარენტერულად (სისხლით) დაინფიცირებაც, ახასიათებს, ასევე, ტრანსპლაცენტარული (დედიდან ნაყოფზე) გადაცემის მექანიზმიც. დაავადება მიმდინარეობს ორ ფაზად და, შესაძლებელია, ერთ თვემდეც გაგრძელდეს. საინკუბაციო პერიოდი, დაახლოებით, 7-10 დღეა. შემდგომ, პროდრომულ პერიოდში, აღინიშნება გრიპისმაგვარი სიმპტომები: ტემპერატურის მომატება, შემცივნება, სურდო, ყელის, კუნთებისა და თავის ტკივილი, მას ერთვის კაშკაშა წითელი ფერის გამონაყარი ლოყებზე, რაც ბავშვს სილაგაწნულის იერს აძლევს. ამ პერიოდში დაავადებულიდან გამომწვევი აგენტის გადაცემა ყველაზე ხშირია. ასეთივე, ოღონდ ნაკლები ინტენსივობის გამონაყარი „მცოცავად“, თავს იჩენს სხეულის სხვადასხვა უბანზე. 1-2 კვირაში სიმპტომები ალაგდება.

B19 ვირუსი აზიანებს ორი ტიპის უჯრედებს: ერითროციტების წინამორბედებს — ერითრობლასტებს და რეტიკულოციტებს და სისხლძარღვების ენდოთელურ უჯრედებს, რასაც თან ახლავს გამონაყარი. გამონაყარის მექანიზმში მონაწილეობას იღებს იმუნური კომპლექსებიც, რომლებიც შეიცავენ ვირუსს და IGM-ს და IGG-ის ტიპის ანტისხეულებს. მოზრდილებში ვირუსი იწვევს ართრიტების ჩამოყალიბებას (განსაკუთრებით, ქალებში). ჰემოგლობინის დონე ოდნავ მცირდება, ხოლო ქრონიკული ჰემოლიზური ანემიის მქონე ბავშვებში შეიძლება განვითარდეს სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობა _ აპლასტიკური კრიზი (რეტიკულოციტოპენია), რომლის შედეგადაც პაციენტი შეიძლება დაიღუპოს.

რაც შეეხება ვირუსის ემბრიოპათოგენურ თვისებებს, დადგენილია, რომ ვირუსს შეუძლია პლაცენტარული ბარიერის გადალახვა და პირველ ტრიმესტრში ნაყოფის სიკვდილის, მეორეში _ ჰიდროცეფალიის გამოწვევა, ხოლო მესამე ტრიმესტრში ვირუსი, ჩვეულებრივ, ნაყოფს არ აზიანებს. დაავადების გადატანის შემდეგ იმუნიტეტი რჩება მთელი ცხოვრების მანძილზე.



„მეხუთე დაავადების“ ლაბორატორიული დიაგნოსტიკა ემყარება ვირუს-სპეციფიკურ IGM-ის აღმოჩენას. რადგან იმუნოკომპრომეტირებულ პირებში (აივ-ინფიცირებულებში, ქიმიოთერაპიის და ალოტრანსპლანტაციის შემდგომ პერიოდში) ანტისხეულები შეიძლება ვერ აღმოვაჩინოთ, უნდა მოხდეს ვირუსული დნმ-ის გამოვლენა სისხლში PCR-ით (პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციით). ნაყოფის ინფიცირების დადგენა ხდება ამნიონური სითხის ანალიზით (PCR).

სპეციფიკური მკურნალობის და პრევენციის საშუალებები შემუშავებული არ არის.

**გიორგი გოგიჩაძე,**
**გიორგი კამკამიძე,**
**თამარ დიდბარიძე**
**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიკრობიოლოგიის და იმუნოლოგიის დეპარტამენტი**

სტუდენტის თვალით

# „აურზაური“ სიცოცხლისთვის...

**ენით აუწერელი სიამოვნების განცდა და სითბო მოედება ადამიანის გულს, ქვემოთ მოტანილ ჩანახატს რომ წაიკითხავს. რამდენი რამ ჩანს მასში:**

**ავტორის მდიდარი წარმოსახვა და ლექსიკა, სიყვარული წერითი სიტყვისა და, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, – მედიცინისადმი. ავტორმა ცოდნის, მხატვრული სიტყვის და იუმორის ისეთი ზომიერი და ლამაზი სინთეზი შემოგვთავაზა, ბევრი რომ ვერ დაიკვეხნის...**

**კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ფიზიოლოგიის დეპარტამენტს, პირველ რიგში, ამ ლამაზი წერილის მოწოდებისთვის და იმისთვისაც, რომ ცოდნის სიყვარულს უღვივებენ ჩვენს სტუდენტებს. სხვაგვარად ეს ჩანახატი არ შეიქმნებოდა.**

* * *

მხედველობის ბორცვებთან აჭყიტინებს მზე და მზესავით სხივებგაფარჩხულ პინეალოციტებსაც ელვიძებათ: ბევრი რამ არ იციან საკუთარ თავზე, მაგრამ გათენება უხარიათ, მელატონინისფერი ელვრებათ სულში...

ბაცი დილისფერი წაუსვეს ლამისფერ ცას და უმიელინო სადავეები მოაგელვებენ შემაკავებელ და გამათავისუფლებელ ჰორმონებს ჰიპოთალამუსიდან სულ სიცილ-კარკაცით, მართლაც-და, ,,ფეხებზე ჰკიდიათ“ სხვა დანარჩენი, მთავარია, შენი ყოველი უჯრედი იყოსო კარგად. ჰიპოთალამუსის ,,გულს“ პარკუჭახლო ბირთვები ეკუმშება — უყვარხარ, მოენატრები, მაგრამ იცის, რომ კიდევ ერთი სიცოცხლე უნდა მოევლინოს ქვეყნიერებას და სამყაროსკენ უბიძგებენ-წადი, წადიო... ვაზოპრესინსაც სწყურიხარ.

ექვს ანც ჰორმონს ადენოჰიპოფიზისთვის სიცელქით თითქოს თვალები ჩაულურჯებია პორტული სისტემით და კეხიანი ,,ცხვირიდან“ აჰყურებენ ჰიპოთალამუსს — ერთი სული აქვთ ხელები ჩასჭიდონ მათზე დამოკიდებულ ჯირკვლებს პერიფერიაზე... მართლაც თავქუდმოგლეჯით (პრეპროჰორმონი, პროჰორმონი, საბოლოო ჰორმონიო...), ხტებიან, „ჭყუმპალაობენ“ სისხლში...

გარბიან... რომ გადახედო, სულ სხადასხვანაირნი არიან — სტეროიდული, თიროზინწარმოებული და ცილოვანი ბუნების, მაგრამ არასდროს უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყველანი სასიცოცხლო პროცესების სადარაჯოზე დგანან...

შენ... რომ ,,გაიზრდები“, სომატოტროპინს ისე გაუხარდება, რომ ცხიმოვან მჟავებს გამოათავისუფლებს, ბევრ, ბევრ ცილასააწყობს, გლუკოზას გადაინახავს გლიკოგენად, აი, როგორც დიდედა გადამალავს ხოლმე ტკბილ ჩურჩხელებს უძილო ღამეებში მოქსოვილ გუდაში; სული ნუ გეპარებათო ინსულინზე... (ხომ გვახსოვს, აძლიერებს ინსულინის სეკრეციას და ამცირებს ინსულინისადმი მგრძნობელობასო).

წყლის ხარბი ვაზოპრესინი დაბორიალებს არტერიოლებში, თავბრუს რომ დაგახვევს ამდენი სირბილით და წნევას აგიწევს; წყალს არ გადაგაღვრევინებს: ნუ კარგავთო.

...თირეოგლობულინი კი თვალებდაჭყეტილი იყურება კოლოიდიდან — რა სულსწრაფები ხართო... მე ჯერ იოდის ტუმბო და პეროქსიდაზა იოდით დამანაყრებს, ,,გავძღები“, სახლშიც შევირბენ რეცეპტორ-განპირობებული ენდოციტოზით და მაკიაჟს მოვიშორებ, მოვწესრიგდები (თირეოგლობულინისგან წარმოიქმნება თიროქსინი, ტრი-, დი-, მონოიოდთირონინები) და მერე გავალ სასეირნოდო. ხელკავს გაუყრის თიროქსინდამაკავშირებელ გლობულინს და არ სწყინდება ხოლმე საათების, დღეების განმავლობაში გავლენის მოხდენა ნახშირწყლების, ცილების, ცხიმების, ვიტამინების მეტაბოლიზმზე... და უჯრედებიც რეცეპტორდაცქვეტილები დგანან საათები, დღეები... მერე თითქოს დეიდამ ჩამოსძახა ეზოში ონავარ თიროქსინს და უკუკავშირით არბის კიბეებზე, ეყოს თამაში, სამეცადინო აქვს, ხვალ ხომ ჩათვლა აქვს (იქნებ ფიზიოლოგიაში? 🙂).

თირკმელზე აცოცებულან და შეშინებული იყურებიან ადრენალინის თვალებით თირკმელზედა ჯირკვლები. განგაშატანილს ,,ტვინს“ უბურღავს მათივე ნორადრენალინი — დაწყნარდიო. ბაგირაკებს თუ აუყვები, ქერქ-სხვენზე მინერალო- და გლუკოკორტიკოსტეროიდები ცხოვრობენ (ცოტაც ანდროგენებიო), მაგრამ ახლა სასწრაფო გამოძახებაზე იქნებიან — ,,სიცოცხლე შევინარჩუნოთო“. წუნია ალდოსტერონმა უჯრედგარე სითხეში Na ცოტაა, K-ით ,,გადამლაშებულხართო“, დაფაცურდება და წნევითი დიურეზით აღადგენს წყლისა და მინერალების გამოყოფის რაოდენობასა და სიჩქარეს. კორტიზოლს ,,კასტინგი“ აქვს, მუზებს დაეძებს გლუკონეოგენეზისთვის, ცხიმოვანი მჟავები, ამინომჟავები მოჰყავს ღვიძლ-სახელოსნოში და ,,იხატება“ გლუკოზა. კორტიზოლივე თან გადაგყვება ხოლმე სტრესულ სიტუაციაში — ანთებას დათრგუნავს, ჩააქრობს... შენ არ შეგეშინდესო და ლიმფოციტები და ეოზინოფილებიც მიიყუჟებიან აქა-იქ.



დაჭერობანას ეთამაშებიან ერთმანეთს ინსულინ-გლუკაგონი. სათამაშო-გლუკოზას ვერ იყოფენ, ექაჩებიან... სომატოსტატინი ორივეს დააშოშმინებს ხოლმე — კუთხეში დგანან დასჯილი ბავშვებივით დათრგუნულნი.

მაგრამ შენ ძლიერი ხარ, საყრდენ-მამოძრავებელ სისტემას ბურჯად უდგას Ca და ფოსფატები, შენ კი პარათჰორმონისა და კალციტონინისნაირი ,,მეგობრები გყავს“, რომლებიც ყოველთვის ყურადღებით იქნებიან, როგორც კი სისხლში Ca დროით $10^6$-$10^5$ მოლ/ლიტრია. ოსტეოკლასტები ,,კბილებს იხეხავენ“ ხოლმე, Ca თუ დაგჭირდეს და ა.შ. და ა.შ.

ჭორიკანა შუამავლები კი დაუზარელნი არიან: CAMP, Ca, დიაცილგლიცეროლი ორღობესავით გადმოდგებიან ხოლმე მემბრანაზე და მთელელ უჯრედს მოსდებენ მოტანილ ამბავს (უჯრედის ზედაპირზე ჰორმონის მცირე რაოდენობა უჯრედის შიგნით ძლიერ კასკადურ პროცესებს განახორციელებს 🙂).

ისევ და ისევ, შენ რომ კარგად იყო...

ყველა სასიცოცხლო პროცესი ხომ ნერვული და ენდოკრინული სისტემებით რეგულირდება...

ისევ და ისევ, შენ რომ კარგად იყო...

**თათია გახარია,**
**მედიცინის ფაკულტეტის II კურსის 41-ე ჯგუფის სტუდენტი**

პრეზენტაციაზე

# წიგნი კათედრის 90-წლიან ისტორიაზე


აკად. გივი თურმანაული
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
სამედიცინო ფარმაკოლოგიის კათედრის არსებობის 90 წლის ისტორია
(1920-2010 წწ.)
თბილისი 2010 წ

მიმდინარე სასწავლო წელს გამოიცა წიგნი: „სამედიცინო ფარმაკოლოგიის კათედრის არსებობის 90 წლის ისტორია”. წიგნის ავტორია მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **გივი თურმანაული,** წინასიტყვაობა ეკუთვნის პროფესორ **ნიკოლოზ გონგაძეს,** რედაქტორია ასისტენტ-პროფესორი **მანანა გოგოლაური.**

სამედიცინო ფარმაკოლოგიის კათედრის (ამჟამად დეპარტამენტის) ისტორიული ნარკვევისთვის სამედიცინო ლიტერატურულ წყაროებში, ფუნდამენტურ ბიბლიოთეკებში, თსსუ-ის და ჯანდაცვის სამინისტროს არქივებში მიკვლეული მასალების საფუძველზე შედგენილ წიგნში ქრონოლოგიურად წარმოდგენილია სამედიცინო ფარმაკოლოგიის კათედრის დამაარსებელი მეცნიერი-პროფესორების, კათედრის გამგეების, მათი ტრადიციების გამგრძელებელი პროფესორ-მასწავლებლების ხუთივე თაობის პედაგოგების სასწავლო-სამეცნიერო საზოგადოებრივი მოღვაწეობა, მათ მიერ შეკრებილი და დაბეჭდილი მეცნიერული შრომები, კერძოდ: 1285 სტატია (14 სტატია წელიწადში), 33 დისერტაცია (1 დისერტაცია ყოველ 3 წელიწადში), კლინიკებში დანერგილი 30 მეთოდური რეკომენდაცია და გამოგონება; 45 სასწავლო სახელმძღვანელო, აქედან, აკადემიკოსი გივი თურმანაულის მიერ დაწერილი და დასტამბულია 25 ფუნდამენტური სახელმძღვანელო სტუდენტებისთვის და ფარმკოთერაპიული მონოგრაფიები პრაქტიკოსი ექიმებისთვის. სახელმძღვანელოებში წარმოდგენილი სასწავლო მასალა სრულად პასუხობს სტუდენტთა სწავლების ევროპული ახალი სილაბუსის კრედიტ-ტრანსფერული სისტემის სტანდარტებს. მიმდინარე წლის ნოემბერში სამედიცინო ფარმაკოლოგიის კათედრაზე გაიმართა კათედრის საიუბილეოდ გამოცემული წიგნის — „სამედიცინო ფარმაკოლოგიის კათედრის არსებობის 90-წლის ისტორიის” — პრეზენტაცია და თსსუ-ის ყველა კათედრის (ამჟამად დეპარტამენტების) გამგეებს საჩუქრად გადაეცათ წიგნების ეგზემპლარები, ხოლო კათედრის პედაგოგების მიერ, წიგნიდან ამონარიდების საფუძველზე, შეიქმნა სამედიცინო ფარმაკოლოგიის კათედრის 90 წლის მანძილზე სასწავლო-სამეცნერო მუშაობის ისტორიის სტენდი ფოტო-მასალით და შესაბამისი ტექსტებით. ამჟამად სამედიცინო ფარმაკოლოგიის დეპარტამენტში, ახალი ევროპული სილაბუსის მოთხოვნების საფუძველზე, სტუდენტებთან ტარდება პრობლემური ლექციების ციკლი პრიორიტეტულ თემებზე, ხოლო საგნის სწავლება პრაქტიკულ მეცადინეობებზე მიმდინარეობს ოპტიმიზაციის ოთხეტაპიანი მონაცვლეობითი ქრონომეტრაჟით. სამედიცინო ფარმაკოლოგიის დეპარტამენტში, ახალი სასწავლო სილაბუსის მოთხოვნების საფუძველზე, შედგენილია თემატური სასწავლო და საგამოცდო სავალდებულო დადგენილი რაოდენობის ტესტ-კითხვები.

90-წლიანი კათედრა, ამჟამად კი — სამედიცინო ფარმაკოლოგიის დეპარტამენტი, წარმატებით მონაწილეობს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ევროპულ საგანმათლებლო სივრცეში ინტეგრაციის პროცესში.

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ,,სამედიცინო გაზეთის“ რედაქცია გულწრფელად ულოცავს წიგნის ავტორს და სამედიცინო ფარმაკოლოგიის დეპარტამენტს ღირსშესანიშნავ საიუბილეო თარიღს და უსურვებს წარმატებებს სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობაში.**

*ხსოვნა*

# ვალმოხდილი მამულიშვილი

2011 წლის 25 ნოემბერს გარდაიცვალა ღვაწლმოსილი დასტაქარი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ღირსების ორდენის კავალერი, პროფესორი **გიორგი ბაგრატის ძე ბოჭორიშვილი.**

ბატონმა გიორგიმ ცხოვრების გრძელი და რთული გზა განვლო — დაიბადა 1919 წელს ქალაქ ტყიბულში. ბავშვობა მძიმე ჰქონდა. უმამოდ გაზრდილმა ახალგაზრდამ 1941 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა და, 22 წლის ყმაწვილი, მაშინვე ქერჩის ფრონტზე, მოქმედ არმიაში გაიწვიეს სამხედრო ექიმად (1941-1942 წ.წ.), სადაც მძიმე ჭრილობა მიიღო, რაც ქვედა კიდურის მაღალი ამპუტაციით დამთავრდა. 1943 წელს, დემობილიზაციისა და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, იგი მუშაობას იწყებს ტყიბულის რაიონულ საავადმყოფოში ექიმად. ცხოვრების უკუღმართობა ნებისმიერ ახალგაზრდას ალბათ სასოწარკვეთაში ჩააგდებდა, ფარხმალს დააყრევინებდა, მაგრამ ძლიერი სულის პატრონი გახლდათ ბატონი გიორგი — პროფესორ **გ. მუხაძის** რეკომენდაციით, იგი იმავე წელს ინიშნება რესპუბლიკის კლინიკური საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების ორდინატორად. სწორედ აქ გამოვლინდა მისი ნებისყოფის სიმტკიცე, დაუოკებელი სწრაფვა — გამხდარიყო წარმატებული ქირურგი. ახალგაზრდა ექიმის შესაშური შრომისმოყვარეობა შეუმჩნეველი არ დარჩენიათ და უკვე, 1945 წელს, იგი კათედრის წევრია — ჯერ ასისტენტი (1945-1959 წ.წ.), შემდეგ დოცენტი (1959-1960 წ.წ.) და ბოლოს პროფესორი (1960 წლიდან).

ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრაზე გიორგი ბოჭორიშვილი ნაყოფიერ პედაგოგიურ, სამკურნალო და სამეცნიერო საქმიანობას ეწეოდა. კლინიკის სხვადასხვა განყოფილებაში მუშაობისას მისი საქმიანობა გამორჩეული და მნიშვნელოვანი გახლდათ. აქ ჩამოყალიბდა იგი, როგორც მრავალმხრივი ქირურგი — ერთნაირი წარმატებით მუშაობდა მუცლის ღრუს ქირურგიაში, ტრავმატოლოგიასა თუ ჩირქოვან ქირურგიაში. მაღალკვალიფიციურ კლინიცისტად ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა იმ გარემოებამაც, რომ ურთიერთობა უხდებოდა კორიფეებთან, პროფესორ **მიხეილ ჩაჩავასთან, დავით მამამთავრიშვილთან,** დიდი ხნის მანძილზე კი — **კონსტანტინე ერისთავისა** და **მამია კომახიძის** ხელმძღვანელობით მუშაობდა. ბატონმა გიორგიმ, კლინიკაში პირველმა, შეასრულა ლინტონის ოპერაცია თრომბოფლებიტის შემდგომი სინდრომის დროს (1967 წ.), კანქვეშა ვენების ამოკვეთა ქვედა კიდურის მწვავე თრომბოფლებიტის დროს (1968 წ.), ნაღვლის საერთო სადინარის პლასტიკა სისხლძარღვის სეგმენტით სიმსივნის შემთხვევაში (1968 წ.); იგი კლინიკაში წლების მანძილზე კითხულობდა ლექციებს ტრავმატოლოგიასა და სამხედრო-საველე ქირურგიაში.

1949 წელს გ. ბოჭორიშვილი იცავს საკანდიდატო დისერტაციას — „სპინალური ანესთეზია სოვკაინით“ (ხელმძღვანელი, პროფესორი გ. მუხაძე) და აქვეყნებს ვრცელ მონოგრაფიას — „სპინალური ანესთეზია“, სადაც ეს პრობლემა, მდიდარი კლინიკური მასალის (15038 შემთხვევა) მოშველიებით ყოველმხრივაა განხილული.

1952-1956 წლებში ბატონი გიორგი პავლოვის სახელობის ფიზიოლოგიის დოქტორანტურაში, პროფესორ **ი. კურცინის** ხელმძღვანელობით მუშაობდა და უკვე, 1956 წელს, იცავს სადოქტორო დისერტაციას — „მასალები ცნს უმაღლესი ნაწილების გავლენის შესახებ ძვლოვანი ქსოვილის რეგენერაციულ პროცესზე“.



1974 წელს პროფესორ გიორგი ბოჭორიშვილს ირჩევენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ზოგადი ქირურგიის კათედრის გამგის თანამდებობაზე და ეწევა დამოუკიდებელ შემოქმედებით მოღვაწეობას. 1981 წლიდან ბ-ნი გიორგი ბრუნდება ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრაზე და პენსიაზე გასვლამდე კათედრის პროფესორია.

პროფესორი გიორგი მუხაძე თავიდანვე დიდ ყურადღებას აქცევდა სტუდენტებისთვის სასწავლო ლიტერატურისა და სახელმძღვანელოების შექმნას

1969-1971 წლებში გამოიცა პროფესორ მ. კომახიძის „ჰოსპიტალური ქირურგიის“ ორტომეული. სასწავლო ლიტერატურის შექმნაში ბატონი გიორგის დიდი წვლილიცაა. უკვე, 1957 წელს, გამოქვეყნდა მისი მოკლე დამხმარე სახელმძღვანელო — „ქირურგიულ ავადმყოფთა გამოკვლევის მეთოდიკა“, რომელიც შემდეგ წლებში შეივსო და გადამუშავდა. 1961 წელს ქვეყნდება, ასევე, „ქირურგიულ ავადმყოფთა გამოკვლევის მეთოდიკა და გადაუდებელი ქირურგიის საფუძვლები“, ხოლო 1988 წელს — „ავადმყოფის მოვლა, პრაქტიკული ჩვევები“.

1976 და 1984 წლებში პროფესორი გიორგი ბოჭორიშვილი აქვეყნებს სახელმძღვანელოებს ზოგად ქირურგიაში, 1980 წელს კი — კერძო ქირურგიაში. ორივე მათგანი დამტკიცებული იყო სახელმძღვანელოდ სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტებისათვის. სახელმძღვანელოებს საფუძვლად ედო საკუთარი დიდი პედაგოგიური გამოცდილება. ამ სახელმძღვანელოებზე ექიმთა არაერთი თაობა აღიზარდა. ბატონ გიორგის შესრულებული და გამოქვეყნებული აქვს 110-ზე მეტი სამეცნიერო შრომა, 20-მდე ბროშურა და მონოგრაფია. პირველი ბროშურა გამოქვეყნებულია კლინიკის ასისტენტის, **ნ. ჯანდიერის,** თანაავტორობით („როგორ ვისარგებლოთ პროთეზით“), რომელიც იძლეოდა ყველა აუცილებელ რჩევას პროთეზის მოხმარებისა და მოვლის შესახებ. შრომაში ავტორის გამოცდილებაც გახლდათ ასახული. გ. ბოჭორიშვილის მონოგრაფიებიდან აღსანიშნავია „მუცლის ღრუს გადაუდებელი ქირურგია“ (1960 წ.), „თრომბოფლებიტი“ (1961 წ.), „სპინალური ანესთეზია“ (1963 წ.), „თრომბოემბოლიური დაავადება“ (1964 წ.), „მუცლის ღრუს გადაუდებელი ქირურგია (1960 წ.) და სხვა. პროფესორ გიორგი ბოჭორიშვილის მრავალრიცხოვანი შრომები, გამოქვეყნებული სამედიცინო ჟურნალებსა და შრომათა კრებულებში, ეხება ძვლის მოტეხილობის, ნაწლავთა გაუვალობის, კუჭ-ნაწლავის ბეზოარის, პერიტონიტის, ღვიძლის პიოგენური აბსცესის, თერმული დაზიანების, თრომბოემბოლიის და სხვა საკითხებს, რომლებიც მის მიერ თავის დროზე მოხსენდა საკავშირო და რესპუბლიკური მასშტაბის ქირურგთა ყრილობებსა თუ კონფერენციებს.

ბატონი გიორგი წლების განმავლობაში გახლდათ აკადემიკოს გ. მუხაძის სახელობის თბილისის ქირურგთა სამეცნიერო საზოგადოების მდივანი, მისი ხელმძღვანელობით შესრულებული და დაცულია არაერთი დისერტაცია.

აღსანიშნავია, რომ წლების განმავლობაში **„სამედიცინო გაზეთის“** ფურცლებზე იბეჭდებოდა ბატონი გიორგის „მოგონებები ქირურგის ცხოვრებიდან“, სადაც შთამბეჭდავად გახლდათ ასახული ღვაწლმოსილი პროფესორის განვლილი ცხოვრების არაერთი მონაკვეთი, საიდანაც მკითხველი თვალნათლივ რწმუნდება თუ რა შემართებაა საჭირო საწადელის მისაღწევად.

ბატონმა გიორგიმ, თავის სათნო მეუღლესთან, მეან-გინეკოლოგ **მედეა ბარამიძესთან** ერთად, სამშობლოს შესანიშნავი, მაღალინტელექტუალური დონის, ამასთან, მასავით შრომისმოყვარე შვილები დაუტოვა, რომლებმაც სამშობლოს სამსახურში უკვე შეიტანეს საკუთარი წვლილი — ქალიშვილი **ნანა** — ინგლისური ენის პედაგოგია და აშშ-ში მოღვაწეობს, უფროსი ვაჟი — **გიორგი (გოგი),** მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, უროლოგიის ეროვნული ცენტრის დირექტორია სამეცნიერო დარგში, უმცროსი ვაჟი — **რევაზი,** ევროპაში ცნობილი მეან-გინეკოლოგი, საფრანგეთში, ქ. კლერმონ ფერანის საუნივერსიტეტო კლინიკაში მოღვაწეობს.

წავიდა ჩვენგან მუხაძისეული სკოლის კიდევ ერთი დიდი წარმომადგენელი, ღვაწლმოსილი პედაგოგი და მეცნიერი, პრაქტიკული მედიცინის ძლიერი და თვალსაჩინო მოღვაწე, წავიდა ვალმოხდილი სამშობლოს, საზოგადოების და ოჯახის წინაშე. მის ხსოვნას პატივს მიაგებენ დამწუხრებული ქართული სამედიცინო საზოგადოება და მრავალრიცხოვანი მოწაფეები. მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური მიწა.

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ქირურგიულ სნეულებათა მიმართულება (ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრა კლინიკის განყოფილებებით)**

# მადლით სავსე...

**„პრესა ჩემთვის ყველაფერია, რადგან იგი სულიერად მასაზრდოებს. დიდ პატივს ვცემ რადიოს, ტელევიზიას, მაგრამ ბეჭდურ მედიას ვერაფერი შეცვლის, მას კონკურენციას ვერავინ გაუწევს, რადგან იგი თეთრ ქაღალდზე შავი ბწკარებით სამარადჟამოდ აღნუსხავს კარგსა თუ ავს ჩვენი ყოფისა, ფხიზლად „აცეცებს თვალებს“ და უყურადღებს სმენას ყოველივეს წარმოსაჩენად. ეს კი ისტორიაა წინა თუ ჩვენი ეპოქისა, ამიტომაც პრესა მემატიანეა და მეცოდებიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც ამის აღქმა არ ძალუძთ“,** — ეს სიტყვები ეკუთვნის სახელგანთქმულ ქირურგს, მეცნიერსა და პედაგოგს, პროფესორ **გიორგი (გოგი), ბოჭორიშვილს,** რომელიც ახლახან განეშორა ამ წუთისოფელს და მარადიულ სასუფეველში დაიდო ბინა.

ბატონი გოგი ჩვენი გაზეთის მეგობარი იყო და კვირა არ გავიდოდა ისე, რომ რედაქციის კარები არ შემოეღო. **„თქვენ მიხანგრძლივებთ სიცოცხლეს. რომ არა ეს გაზეთი, ჩემი ცხოვრება უაზრო და უფერული გახდებოდა“,** — ყოველი მოსვლისას გვეტყოდა იგი, ალბათ იმიტომაც რომ, უკვე პენსიაზე გასულს, ჩვეული შემართებით აღარ შეეძლო პროფესიული საქმიანობა, მხოლოდ კონსულტაციას უწევდა კოლეგებს. ჩვენ კი ყოველთვის მადლობას ვუხდიდით შთამბეჭდავ მოგონებებზე, რომელიც გაზეთის თითქმის ყველა ნომერში ქვეყნდებოდა.

**„მოგონებანი“** — ასე იყო დასათაურებული ბატონი გოგის წერილები, სადაც მკითხველი ეცნობოდა მისი მასწავლებლების, ქართული სამედიცინო საზოგადოების ღირსეულ წარმომადგენელთა თუ კოლეგების პროფესიული საქმიანობის ამსახველ ეპიზოდებს, საკუთარ მძიმე ბავშვობას, ფრონტზე გამოვლილ საზარელ დღეებს, მის მიერ ჩატარებულ უნიკალურ ოპერაციებს და მრავალ სხვა საინტერესო ამბებს.

გარდაცვალებამდე რამდენიმე წელი ლოგინს მიეჯაჭვა, რაც წარმოუდგენელი იყო... ეს ცალფეხა ბუმბერაზი ადამიანი, შესაშურად ენერგიული, მოუღლელი, მუდამ სიახლის ძიებით გულანთებული, საწოლშიც ვერ ისვენებდა და ტელეფონით გვაწერინებდა საგაზეთო სტატიას; ყოველთვის გვასწრებდა სადღესასწაულო თარიღის მილოცვას და არცერთი გამორჩებოდა...

იერით — მკაცრი, საქმით — თავდადებული, გულით —კეთილი, სულით — ნათელი, გრძნობით — მადლიერი, მეგობრული, სხვისი სატკივრის საკუთრად აღმქმელი, სხვაზე ზრუნვით გადაგებული და დახმარების სურვილით გამსჭვალული (რაც პირად მაგალითზეც გამოგვიცდია), — ასეთი იყო ბატონი გოგი და ამიტომაც უყვარდათ პაციენტებს, სტუდენტებს, კოლეგებს, თანამშრომლებს...

კლინიკაში შემოვლას დილის ათ საათზე იწყებდა. უნდა ენახა და გამოეკითხა ყველა ავადმყოფი, რჩევა-დარიგება მიეცა პალატის ექიმისთვის, — ასე იწყებოდა ყოველდღიურად მისი სამუშაო დღე სტაციონარში. ქათქათა ქუდით და ხალათით, ყავარჯნით ხელში, დევივით მიაბიჯებდა პალატებისკენ... „პროფესორი მოდის! — ისმოდა მორიგე ექიმის გამაფრთხილებელი ხმა და ირგვლივ სიჩუმე ისადგურებდა, მხოლოდ პალატიდან გაიგებდით პროფესორის ხუმრობას, იმედიან, თბილ საუბარს პაციენტებთან...

თავის მოგონებებში ყველაზე ბევრს ექიმის პროფესიაზე საუბრობდა: **„ექიმის პროფესია ურთულესია. რაც არ უნდა დარდი და მწუხარება ჰქონდეს ექიმს, ავადმყოფთან ყოველთვის კეთილგანწყობილი, მომღიმარი და ყურადღებიანი უნდა იყოს. მოაზროვნე ექიმმა დაავადებასთან ბრძოლაში მოკავშირედ ავადმყოფი უნდა გაიხადოს, ამისთვის კი პაციენტის მომზადებაა საჭირო და სამი რამ არის მთავარი: 1. ავადმყოფის ინფორმირება საკუთარი მდგომარეობის შესახებ; 2. შიშის მოხსნა დაავადების მიმართ; 3. იმედის ჩანერგვა და რწმენა აუცილებელი გამოჯანმრთელებისთვის. ექიმზე დიდი მსახიობი არავინ უნდა იყოს.“** სწორედ სტუდენტებს იგი, პროფესიასთან ერთად, ასწავლიდა როგორ მოქცეულიყვნენ ავადმყოფთან, როგორ გამოეკითხათ ისინი სრულფასოვანი ანამნეზის შესაკრებად, რადგან ძირითადად პაციენტის დიაგნოზი მისი დაკვირვებული, ამომწურავი გამოკითხვით დგინდებაო. გამოკითხვასთან ერთად ექიმი გულდასმით უნდა აკვირდებოდეს ავადმყოფის ქცევას, მიმიკას, მეტყველებას, აქტიურობას და არ უნდა შეიმჩნიოს შეშფოთება, არ უნდა უთხრას ავადმყოფს „აქამდე სად იყავი?“ **ექიმის აუცილებელ თვისებად მიაჩნდა კეთილი გული, ნათელი გონება, ფხიზელი თვალ-ყური, დიდი კულტურა, რკინის ნერვები. ექიმის საქმიანობაში კი გამოყოფდა სამ მთავარს: ენას, წამალსა და დანას.** შორს წაგვიყვანს ბატონი გოგის დეონტოლოგიური საუბრები, ამიტომ ამ მცირედზე შევჩერდებით, რადგან ბევრი გვაქვს სათქმელი მისი მოგონებებიდან. განუზომელი სიყვარულის, უდიდესი პატივისცემისა და მოწიწების დასტურია მისგან ქართული სამედიცინო საზოგადოების კო-

*(დასასრული მე-6 გვ.-ზე)*

სამედიცინო გაზეთი

(მე-5 გვერდიდან)

# მადლით სავსე...

რიფეებზე საუბარი. **გრიგოლ მუხაძე, მიხეილ წინამძღვრიშვილი, მამია კომახიძე, სიმონ ყიფშიძე, ალექსანდრე კვალიაშვილი, ვახტანგ ალადაშვილი, ეგნატე ფიფია, მიხეილ ჩაჩავა, კონსტანტინე ერისთავი, დავით მამამთავრიშვილი,** — აი, ისინი, რომელთა ღვაწლსა და საქმიანობაზე არსად დაწერილა ისე, როგორც ეს ბატონი გოგი ბოჭორიშვილის მოგონებებშია. **„ჩემზე ბედნიერი არავინ იყო, როცა გრიგოლ მუხაძის ასისტენტი გავხდი“,** — აღნიშნავს თვითონ.

მის მოგონებებში პირადულიც აისახა, რომლის გარეშეც არ არსებობს საზოგადო და იგი უშუალოდაა განმსაზღვრელი ადამიანის ცხოვრებისა.

**„ბავშვობა მეტად მძიმე მქონდა, თუმცა არც ახალგაზრდობაში ვიყავი დალხენილი. მე და ჩემი და მამით ადრე დავობლდით. 24 წლის დედას შევრჩით გასაზრდელად. მაგრამ იყვნენ ბებია და ბაბუა (მამის მხრიდან), რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ჩვენს აღზრდაში. ძალიან გვიჭირდა. ცხოვრებამ ბავშვობიდანვე მიგვაჩვია უმძიმეს შრომას. ბაბუას მუდამ მხარში ვედექი. ჩემი პირადი მოვალეობა საქონლის მოვლა და მწყემსვა იყო. ვმწყემსავდი მეზობლის ძროხებსაც, რის საფასურად რძესა და ყველს მპირდებოდნენ, მაგრამ არასოდეს ამიღია. ვეხმარებოდი მაღაროს მუშებს ორთქმავლიდან ტვირთის გადმოზიდვაში, რის გამოც ხურდა ფულს მაძლევდნენ და ორთქმავლითაც მასეირნებდნენ. მუშებისგან მოცემული ხურდის შესახებ მხოლოდ ბებიას ვუმხელდი, რადგან დედა ამ ამბავს არ მომიწონებდა და დამტუქსავდა. ბებია კი მაქებდა, რადგან ეს პატიოსანი შრომით ნაშოვნი ფული იყო და რვეულს შევიძენდი, თმას შევიჭრიდი. ზამთრობით ლიანდაგს ვწმენდდი, სადგურიდან ბარგს ვეზიდებოდი, ზაფხულობით ხილის ჩასაბარებელ პუნქტში ყუთებს ვაკეთებდი და შიგ ვაშლებს ვაწყობდი. პურს იშვიათად ვჭამდით, რადგან საყიდელი ფული არ გვქონდა. ერთხელ ყასაბს დავეხმარე გაქცეული ძროხის დაჭერაში, რისთვისაც მან ორი კილო ხორცით დამასაჩუქრა. ფეხსაცმელს, ქობიან ქალამანს, ბაბუა მიკერავდა და იგი მეცვა სრულ გაცვეთამდე. მაშინ საბურავის ნაჭრისგან შეკერილი ფეხსაცმელი იყიდებოდა, მაგრამ მისი ყიდვის საშუალება არ გვქონდა და მასზე ოცნებაც არ შეიძლებოდა. ჩემი თანატოლები პიონერთა ბანაკში და ზღვაზე ისვენებდნენ, მრავალფეროვან კერძს მიირთმევდნენ, ჩვენი ძირითადი საკვები კი ლობიო იყო.“** — ბატონი გიორგის ეს მონათხრობი საკმარისია მისი ბავშვური ცხოვრების წარმოსადგენად. მიუხედავად ამისა, იგი განუსაზღვრელად მადლიერი იყო დედის, ბებია-ბაბუის და საკუთარ მიღწევებში უმნიშვნელოვანეს წვლილს ამ ადამიანებს აკუთვნებდა.



დალხენილი არც სტუდენტობა ჰქონია. ფრიადოსნის ატესტატის მქონე, 1936 წელს, უგამოცდოდ ჩარიცხეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე. უსახსრობის გამო სტუდენტურ წლებში, ზაფხულის არდადეგებზე, დღედაღამ ფერშლად მუშაობდა ტყიბულის რაიონული საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში, ეხმარებოდა სამეანო განყოფილების ექთნებსაც, მორიგეობდა. გამორჩეული სტუდენტი ქართული მეცნიერული და კლინიკური ქირურგიის ფუძემდებლის, გრიგოლ მუხაძის, ყურადღების ცენტრში მოექცა. თავად ოცნებად ჰქონდა გადაქცეული საქართველოს ქირურგთა მნათობთან (ასე უწოდებდა მას), გრიგოლ მუხაძესთან, მუშაობა. ოცნება აუხდა, მისი მოწაფე გახდა და დღენიადაგ მისი ზრუნვით იყო გარემოსილი, რასაც იმსახურებდა სწავლისადმი, პროფესიული საქმიანობისადმი წარმოუდგენელი გარჯითა და ენთუზიაზმით.

მაგრამ ბატონი გოგის ცხოვრებაში ყველაზე მძაფრი და ამაღელვებელი მაინც ომის ერთ-ერთი ეპიზოდია, რომელმაც უმძიმესი დაღი დაასვა მთელი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე. ქერჩში ყოფნის დროს ჩამოგდებულმა ჭურვმა ბარძაყთან მარჯვენა ქვედა კიდური მოგლიჯა. **„მოგლეჯილი კიდური კანით იყო მიმაგრებული სხეულთან. თავადვე რომ არ აღმომეჩინა დახმარება საკუთარი თავისთვის, იქვე დავამთავრებდი სიცოცხლეს. ბედად ჯიბის დანა თან მქონდა, კანი და შარვლის ტოტი გადავჭერი, სისხლძარღვები ქუდში გადანახული ნემსზე გადახვეული ძაფით გადავიკვანძე... საკაცის ნაცვლად ნანგრევებიდან გამოთრეულ კარზე დამაწვინეს და ჭურვისგან ამოთხრილ ორმოში, როგორც თავშესაფარში, ჩამიყვანეს,“** — იგონებს იგი. შემდეგ იყო შუა აზიაში მიმავალი ეშელონით გროზნოში ჩაყვანა და იქაურ ჰოსპიტალში მოთავსება. გროზნოში დედამ ჩააკითხა. ყველაზე მეტად ამ შემთხვევის გამო ედარდებოდა დედა, რადგან ჯოჯოხეთურ ცხოვრებაგამოვლილს დასახიჩრებული შვილისთვის უნდა ექცირა და მოევლო.

პროფესორ ეგნატე ფიფიას რჩევით დედამ იგი შინ წაიყვანა, რადგან ოპერაციამდე უნდა მოძლიერებულიყო. რეამპუტაცია ტყიბულში ჩაუტარდა, რისთვისაც ადგილობრივმა ექიმებმა მიხეილ ჩაჩავა მიიწვიეს. იგი სიხარულით დასთანხმებია, — ჩემი საყვარელი მოწაფე იყოო — უთქვამს. მიუხედავად იმისა, რომ სპინურმა ანესთეზიამ კოლაფსში ჩააგდო ბატონი გოგი, რის გამოც მთელმა ტყიბულმა საავადმყოფოს კართან მოიყარა თავი, მაინც ყველაფერი კარგად დამთავრდა...

შემდეგ წარმატებული პროფესიული საქმიანობა — მეცნიერული მოღვაწეობა, საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები, ოჯახი, უნიკალური სახელმძღვანელოების შექმნა ქირურგიაში, მრავალთა გადარჩენილი სიცოცხლე...

მის ცხოვრებაში ნამდვილად იყო ბედნიერი დღეებიც. **„გმირობის ტოლფასი იყო ხეიბარ კაცზე არჩევანის გაკეთება. მიუხედავად მრავალმხრივი წინააღმდეგობისა, რაც ლოგიკურიც იყო, რადგან განა შესაძლებელია მშობელი საღსალამათ ქალიშვილს დაეთანხმო ცალფეხა მამაკაცთან შეუღლებაზე? ჩემს მედეას გადაწყვეტილება ვერავინ შეაცვლევინა“,** — აღნიშნავს ბატონი გოგი და ამით უდიდეს მადლიერებას გამოხატავს თავისი სათაყვანებელი მეუღლისა და კოლეგის, ქალბატონი **მედეა ბარამიძის** მიმართ, რომელიც ბედისწერამ ნაადრევად გამოაცალა ხელიდან...

არსთაგამრიგემ მას სამი საამაყო შვილის მამობა არგუნა, რაც მისი ცხოვრების დიდი სიხარული და ცხოვრების არსი იყო. **„ჩემი გოგი, ჩემი რევაზი, ჩემი ნანა“,** — იტყოდა და მოჰყვებოდა მათ წარმატებებზე საუბარს, რაშიც იგრძნობოდა შვილების მიმართ განუსაზღვრელი სიყვარული, მოფერება, მონატრება... ენატრებოდა რევაზი და ნანა, შვილიშვილები, რადგან ისინი შორეულ ქვეყნებში, ამერიკასა და საფრანგეთში, ცხოვრობენ და მოღვაწეობენ, თანამოსახელე უფროსი შვილისა და მისი შვილების ნახვის ბედნიერება კი ხშირად ჰქონდა...

ბატონი გოგის შვილების გამო ნამდვილად ჰქონდა საამაყო. მისი უფროსი შვილი, პროფესორი **გიორგი (გოგი) ბოჭორიშვილი** ჩვენი ქვეყნის სახელგანთქმული უროლოგია; პროფესორი **რევაზ ბოჭორიშვილი** საფრანგეთში მოღვაწეობს და მსოფლიოში ცნობილი მეანგინეკოლოგია, რომელიც სამშობლოში ჩამოსვლისას უანგაროდ უწევს დახმარებას თანამემამულეებს; ერთადერთი ქალიშვილი **ნანა** კი ინგლისური ენის ცნობილი პედაგოგია ამერიკაში.

**ბატონი გიორგი ბოჭორიშვილის ცხოვრებასა და ღვაწლზე ამოუწურავად შეიძლება ისაუბრო, მაგრამ ჩვენი გაზეთი ამის საშუალებას არ იძლევა, ამიტომ მხოლოდ იმ ფაქტებზე გავამახვილეთ ყურადღება, რომლის გახსენება უდიდეს სიხარულს მიანიჭებდა მას.**

**ბატონი გიორგი ქართულ სამედიცინო საზოგადოებასთან ერთად დაგვაკლდა ჩვენც, „სამედიცინო გაზეთის“ შემოქმედთ, მისი ბრძნული შეგონებებით, დიდაქტიკური წერილებით და შესაშური მეგობრობით.**

**რომ მოსწრებოდა, განსაკუთრებულად მოგვილოცავდა ჩვენი გაზეთის დაარსებიდან 55-ე წლისთავს, რომელიც მიმდინარე წლის მაისში შესრულდება.**

**უკანასკნელ დღეს დავემშვიდობეთ, ბატონ გოგის, ჩვენი წილი გულწრფელი ცრემლი გავატანეთ თან... დაგვრჩა ხსოვნა მისი, როგორც ამ წუთისოფლის სანაქებო, ღირსეულად ვალმოხდილი ადამიანისა...**

**ნათელში იყავ, ბატონო გოგი!**

„სამედიცინო გაზეთის“
რედაქციის სახელით,
რედაქტორი დალი გაბეშია

*გახსენება*

# გამოჩენილი მეცნიერი, ფარმაკოლოგი და პედაგოგი

## პროფესორ გრიგოლ გვიშიანის დაბადებიდან 100 წლისთავისთვის



სამედიცინო ფარმაკოლოგიის წინსვლა და განვითარებას დიდი ღვაწლი დასდო გამოჩენილმა მეცნიერმა, მკვლევარმა და პედაგოგმა, მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **გრიგოლ სარდიონის ძე გვიშიანმა.**

გრიგოლ გვიშიანი დაიბადა 1911 წლის 14 ნოემბერს სამტრედიის რაიონის სოფელ ილორში. 1931 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი და 1932 წელს ჩაირიცხა სამედიცინო ფარმაკოლოგიის კათედრის პირველ ასპირანტად. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ, 1934 წელს, აირჩიეს სამედიცინო ფარმაკოლოგიის კათედრის ასისტენტად.

1936 წელს ექიმი-ასპირანტი გ. გვიშიანი 2 წლით მიავლინეს ლენინგრადის სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში, სადაც ცოდნას სრულყოფდა ცნობილი მეცნიერების, ექიმი-ფარმაკოლოგების, აკადემიკოსების: **ს. ანიჩკოვის და ვ. ზაკუსოვის** ხელმძღვანელობით.

1938 წელს ექიმმა გ. გვიშიანმა ლენინგრადში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე — „სალსოლინის ფარმაკოლოგიური მოქმედება“, რის საფუძველზეც მას 1940 წელს მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ კათედრის დოცენტის თანამდებობაზე აირჩია. 1939 წელს იგი კვლავ ერთი წლით მიავლინეს ლენინგრადის სამხედრო-სამედიცინო აკადემიის ფარმაკოლოგიის კათედრაზე, სადაც, აკადემიკოს **ვ. კუზნეცოვის** ხელმძღვანელობით, შეასრულა სადოქტორო დისერტაციის დიდი ნაწილი, ხოლო 1941 წელს თბილისში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე — „ორგანიზმის ბარიერების მნიშვნელობა ფარმაკოლოგიურ ნივთიერებათა მოქმედებაში“ და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მიენიჭა. 1944-1948 წლებში მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი გ. გვიშიანი, აირჩიეს თბილისის სტომატოლოგიური ინსტიტუტის ფარმაკოლოგიის კათედრის პროფესორის თანამდებობაზე. 1948 წელს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორ გ. გვიშიანს პროფესორის წოდება მიენიჭა სამედიცინო ფარმაკოლოგიაში.

1973 წელს, პროფესორ **გიორგი ცქიმანაურის** დამსახურებულ პენსიაზე გასვლის შემდეგ, პროფესორი გ. გვიშიანი არჩეულ იქნა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამედიცინო ფარმაკოლოგიის კათედრის გამგედ, სადაც სიცოცხლის ბოლომდე (1979 წლამდე) წარმატებით კითხულობდა სალექციო კურსს სამედიცინო ფარმაკოლოგიაში. 1947-1950 წლებში პროფესორი გ. გვიშიანი განაგებდა საქართველოს კურორტოლოგიის ინსტიტუტის განყოფილებას, ხოლო 1950-1962 წლებში იგი პარალელურად ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს **მ. წინამძღვრიშვილის** სახელობის კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის ინსტიტუტში მის მიერვე შექმნილ, ექსპერიმენტული თერაპიის და ფარმაკოლოგიის განყოფილებას, სადაც იგი ეწეოდა მასშტაბურ მეცნიერულ კვლევას ექსპერიმენტულ ფარმაკოთერაპიაში.

1962-1973 წლებში პროფესორი გ. გვიშიანი პარალელურად მუშაობდა თსსი-ის პრორექტორის თანამდებობაზე სასწავლო-აღმზრდელობითი დარგში.

ბატონი გ. გვიშიანი იყო მოწინავე ფარმაკოლოგიური სკოლის ტრადიციების ღირსეული მემკვიდრე და გამგრძელებელი საქართველოში. ამ მიმართულებით განუზომელია მისი მოღვაწეობა ქართველი ახალგაზრდა ექიმი-ფარმაკოლოგების და

(დასასრული მე-7 გვ.-ზე)

# სტუდენტური ცხოვრების ფოტოგალერეა










ჯიმი არჩვაძის ფოტოები

# პროფესორ გრიგოლ გვიშიანის დაბადებიდან 100 წლისთავისთვის

(მე-6 გვერდიდან)

ექიმების აღზრდის საქმეში, კერძოდ, ზემოთ აღნიშნულ განყოფილებაში მის მიერ მომზადებულია სამკურნალო დაწესებულებების კვალიფიციური კადრები. ამ მიმართულებით ბატონი გრიგოლის ხელმძღვანელობით შესრულებულია 8 სადოქტორო და 22 საკანდიდატო დისერტაცია.

პროფესორმა გ. გვიშიანმა ექსპერიმენტულ პრაქტიკაში დანერგა მეთოდური ხერხების და მოდელების დიდი რაოდენობა, რომლებიც დღესაც წარმატებით გამოიყენება ექსპერიმენტულ ფარმაკოლოგიაში წამლების მოქმედების მექანიზმების შესასწავლად. მის მიერ ექსპერიმენტში შესრულებული მრავალი შრომა მოიცავს ფარმაკოლოგიური საშუალებების (წამლების) მოქმედების ასაკობრივ თავისებურებათა შესწავლას. ამ მიმართებით გამოქვეყნებული ფუნდამენტური შრომების ციკლის საფუძველზე, იგი ითვლება საქართველოში გერონტოლოგიური სკოლის ფუძემდებლად. ცნობილი მეცნიერის, პროფესორ გ. გვიშიანის, შრომების მეორე, საერთაშორისო მნიშვნელობის აქტუალური ფუნდამენტური მიმართულება ათეროსკლეროზის პათოგენეზის მექანიზმების და ექსპერიმენტული თერაპიის საკითხებს ეხება.

პროფესორმა გ.გვიშიანმა პირველად ჩამოაყალიბა დებულება — ლიპიდების ცვლის ცენტრალური რეგულაციის და ათეროსკლეროზის განვითარებაში კატექოლამინების მეტაბოლიზმის ერთდროული დარღვევის მთავარი როლის შესახებ, მანვე შეიმუშავა არტერიული ჰიპერტენზიის და ათეროსკლეროზის წარმოშობის ცენტროგენული ფორმის ექსპერიმენტული მოდელები და ამ მიმართულებით ექსპერიმენტში შეისწავლა და კლინიკაში დანერგა ათეროსკლეროზისა და არტერიული ჰიპერტენზიის სამკურნალო პრეპარატები. ბატონი გრიგოლის შრომებში გაშუქებულია ისეთი ორიგინალური საკითხები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს სამედიცინო-საექიმო აზროვნების განვითარებასა და ჩამოყალიბებაში. პროფესორ გ. გვიშიანს გამოქვეყნებული აქვს 130 მეცნიერული ნაშრომი, მათ შორის, 10 სოლიდური მონოგრაფია, მასვე ეკუთვნის სტუდენტთა ფუნდამენტური სახელმძღვანელო — „ფარმაკოლოგია" (1975 წ), რომელზედაც აღიზარდა ექიმთა მრავალი თაობა.

პროფესორი გრიგოლ გვიშიანი იყო ბრწყინვალე პედაგოგი და შეუდარებელი ლექტორი. იგი, მეცნიერულ მუშაობასთან ერთად, დიდ ყურადღებას უთმობდა სასწავლო-პედაგოგიური პროცესის სრულყოფას. მისი საინტერესო ლექციები სამედიცინო ფარმაკოლოგიაში გამოირჩეოდა მაღალი აკადემიურობით, ღრმა შინაარსით და იზიდავდა სტუდენტთა და ექიმთა ფართო აუდიტორიას.

დიდ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას პროფესორი გ. გვიშიანი კარგად უთავსებდა საზოგადოებრივ მუშაობას — იგი 1975 წელს აირჩიეს საქართველოს ფარმაკოლოგთა საზოგადოების თავმჯდომარედ, რუსეთის ფარმაკოლოგთა საპრობლემო კომისიის წევრად, ჟურნალ — „ფარმაკოლოგია და ტოქსიკოლოგიის" — სარედაქციო საბჭოს წევრად. მრავალი ფარმაკოლოგიური ყრილობის და კონფერენციის დელეგატად; მისი ხელმძღვანელობით მოეწყო საქართველოს ფარმაკოლოგთა არაერთი რესპუბლიკური კონფერენცია.

1964 წელს პროფესორ გრიგოლ გვიშიანს მიენიჭა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

პროფესორ გრიგოლ გვიშიანის აღზრდილებს, მე და ჩემს ექიმ-კოლეგებს, ყოველთვის გვხიბლავდა მისი მაღალი მეცნიერული აზროვნება, სწრაფვა სიახლის ძიებისადმი. ჩვენში ჭეშმარიტ სიმპათიას იწვევდა მისი სათნოება, ადამიანური თვისებები, შინაგანი კულტურა, სულიერი სიმდიდრე, თბილი და ყურადღებიანი დამოკიდებულება კოლეგებისადმი, ოჯახისადმი, პატივისცემა ტრადიციებისადმი, სწორედ ამიტომ სარგებლობდა იგი საზოგადოებაში დამსახურებული ავტორიტეტით და დიდი პატივისცემით, რაც საფუძველს გვაძლევს, დიდხანს შევინახოთ პროფესორ გრიგოლ გვიშიანის ნათელი ხსოვნა.

ვაგრძელებთ რა ბატონი გრიგოლის ტრადიციებს, მისი მრავალრიცხოვანი მოწაფეები, ექიმი-ფარმაკოლოგები და პრაქტიკოსი ექიმები, დიდი მადლიერებით ვიხსენებთ ჩვენს ძვირფას, ღირსეულ და ამაგდარ მასწავლებელს — პროფესორ გრიგოლ გვიშიანს, რომლის დაუღალავ შრომაში გატარებული ცხოვრება და მოღვაწეობა იმის ნიმუში და მაგალითია, თუ როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი მეცნიერი, პედაგოგი, ადამიანი და მოქალაქე, როგორ უანგაროდ უნდა ემსახურებოდეს მეცნიერული იდეალების შესრულებას, ხალხის ჯანმრთელობის დაცვის და კეთილდღეობის საქმეს.

**აკადემიკოსი**
**გივი თურმანაული,**
**საქართველოს ფარმაკოლოგთა საზოგადოების თავმჯდომარე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი, საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი; თსსუ-ის სამედიცინო ფარმაკოლოგიის კათედრის (დეპარტამენტის) პედაგოგები**

*არდავიწყება*

# მამია დგებუაძე



ჩქარი ნაბიჯებით მოსიარულე, მეტად დინჯი მოსაუბრე იყო. მოსალმებისთანავე შეატყობდით ინტელექტუალობას; გაგიღიმებდათ, შეჩერდებოდა და თავის დახრით მოგესალმებოდათ... საუბარიც ღიმილიანი იცოდა, მშვიდი გახლდათ და ნამდვილად ვერ იტყოდით, ფიცხი მეგრელიაო... ულალატო და მეგობრული, ადამიანის მიმართ მუდამ დახმარების სურვილით მოტივირებული, სახელოვანი მეცნიერი, პედაგოგი და მკურნალი... ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებულს ხელმძღვანელ თანამდებობაზეც არაერთხელ უმუშავია და თავადური წარმოშობის კვალიც ადვილად შესამჩნევი იყო მის პიროვნებაში...

საშუალო სკოლის წარჩინებით დასრულების შემდეგ ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტზე. წარმატებული სწავლის მიუხედავად, დიდი სურვილი ჰქონდა, მიეღო სამედიცინო განათლება. ამიტომ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში. სწავლის პერიოდში იყო სტალინური სტიპენდიატი და არჩეულ იქნა ინსტიტუტის ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელად.

ინსტიტუტის წარჩინებით დასრულების შემდეგ იგი ირიცხება სამედიცინო ინსტიტუტის ფიზიოთერაპიის და კურორტოლოგიის კათედრის ორდინატორად. ბატონმა მამიამ გაიარა გზა კათედრის ორდინატორობიდან პროფესორობამდე.

1974 წელს აირჩიეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფიზიოთერაპიის და კურორტოლოგიის კათედრის გამგედ. ამ თანამდებობაზე მან 30 წელზე მეტ ხანს იღვაწა. წლების განმავლობაში ბატონი მამია იყო სამკურნალო ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, სტომატოლოგიის და სანჰიგიენური ფაკულტეტების დეკანი, სამედიცინო ინსტიტუტის პროფკავშირული კომიტეტის თავმჯდომარე.

ბატონი მამია დგებუაძე ავტორია 120-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის, სახელმძღვანელოსი ფიზიოთერაპიასა და კურორტოლოგიაში, რაც სამაგიდო წიგნად იქცა ექიმების და სტუდენტებისთვის.

ბატონი მამია დგებუაძე გახლდათ მედიცინის დამსახურებული მოღვაწე. დაჯილდოებული იყო „ღირსების ორდენით", არჩეულ იქნა საქართველოს პროფილაქტიკური მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად. მის მიერ აღზრდილი თაობები ღირსეულად განაგრძობენ სამედიცინო საქმიანობას.

პროფესორ მამია დგებუაძის ხსოვნა დიდხანს დარჩება კოლეგების, სტუდენტების, თანამშრომლების გულში.

**კოლეგები**

სპორტი

# ტრადიციები გრძელდება

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მინი-ფეხბურთის ხელოვნურსაფარიან მოედანზე გასული წლის მიწურულს თბილისის „დინამოს“ ვეტერანი ფეხბურთელების — ვლადიმერ ბარქაიას (სიომა) და ილია დათუნაშვილის სახელობის თასის ტურნირის საფინალო შეხვედრები ჩატარდა.

ფინალურ შეხვედრას ესწრებოდნენ საპატიო სტუმრები: საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა დაცვის ფონდის თავმჯდომარე, ბატონი **ვაჟა ჟვანია,** რომელმაც დააწესა ჯილდო ყველა საპრიზო ნომინაციისთვის, ვეტერანი ფეხბურთელი **მურთაზ ხურცილავა,** ცნობილი სპორტული ჟურნალისტი **დავით ქლიბაძე,** თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი **გიგა სორდია,** გუნდების გულშემატკივრები.

თამაშში ბურთი შეიტანეს **ილია დათუნაშვილმა** და **ვლადიმერ ბარქაიამ.**

ტურნირში მონაწილეობას იღებდა სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტთა 10 გუნდი. საბოლოოდ ადგილები ასე გადანაწილდა: I ადგილი **„ზევსმა“** მოიპოვა, II — **„რეაბილიტაციამ“**, მესამეზე კი **„რეკორდი“** გავიდა.

საუკეთესო მოთამაშეებად დასახელდნენ: **გიორგი ლოლუა** (საუკეთესო მეკარე), **ავთო თელია** (საუკეთესო მცველი), **გიგა წერეძე** (საუკეთესო თავდამსხმელი), საუკეთესო ბომბარდირად აღიარეს 13 გოლის ავტორი **ზვიად ბლიაძე**, ტექნიკურ ფეხბურთელად — **გიორგი ჭუმბურიძე, სანდრო ბაკურაძე** კი ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა.

მოთამაშეებს ტურნირის ორგანიზატორებმა და საპატიო სტუმრებმა სამახსოვრო პრიზები და თასები გადასცეს.

ტურნირის იდეის ავტორი და ორგანიზატორია თსსუ-ის სპორტის და ხელოვნების ცენტრის დირექტორი, ბატონი **ზაურ ფხალაძე** და უნივერსიტეტის ფეხბურთის ნაკრები გუნდის მწვრთნელი, ბატონი **ვახტანგ ბაქანიძე.**





**მარი ხანიკაევი,**
**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი.**

ახალი წიგნები



## რუბრიკას უძღვება პროფესორი ვადიმ სააკაძე

**ბესარიონ კილასონია**

**სასამართლო მედიცინა თბილისი, 2011 წ. 363 გვ.**

გამოვიდა ფუნდამენტური სახელმძღვანელო, რომლის 15 ძირითად თავში თანმიმდევრულადაა განხილული სასამართლო მედიცინის არსი, მისი ისტორიის მოკლე მიმოხილვა და საქართველოში სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის საპროცესო საფუძვლები. წიგნის ძირითად თავებში თანმიმდევრულად და დეტალურადაა განხილული სასამართლო სამედიცინო თანატოლოგია; გვამის დათვალიერება და გამოკვლევა; ახალშობილთა გვამების სასამართლო სამედიცინო, გვამების გამოკვლევის თავისებურებანი; ჟანგბადის მწვავე უკმარისობით გამოწვეული დაზიანების და სიკვდილის მახასიათებლები; სასამართლო ტრავმატოლოგიის საკითხები; ჯანმრთელობის მოშლა და სიკვდილი ფიზიკური ფაქტორების მოქმედებით; სასამართლო ტოქსიკოლოგიის ზოგადი და კერძო ასპექტები; უეცარი სიკვდილის სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა; ცოცხალ პირთა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა; სქესობრივი სფეროს სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის თავისებურებანი; პიროვნების იდენტიფიკაციის საკითხები; სასამართლო სტომატოლოგიის ასპექტები; ბიოლოგიურ ნივთმტკიცებათა ექსპერტიზა; ექიმის პასუხისმგებლობა პროფესიულ სამართალდარღვევებზე.




სახელმძღვანელოს ტექსტი ილუსტრირებულია ფოტოსურათებით და სქემებით, რაც აადვილებს წარმოდგენილი ტექსტობრივი ინფორმაციის აღქმასა და ათვისებას. სახელმძღვანელოში ამომწურავადაა ასახული ქართული ეროვნული, ასევე, უცხოური სასამართლო საექსპერტო სკოლების მრავალწლიანი გამოცდილება. გამოყენებული ლიტერატურა მოიცავს 62 ბიბლიოგრაფიულ წყაროს.

სახელმძღვანელო განკუთვნილია სამედიცინო და იურიდიული პროფილის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისა და სასამართლო სამედიცინო ექსპერტებისთვის, ექიმებისა და იურისტებისთვის.

**გ. გოგიჩაძე, გ. კანდელაკი, თ. გოგიჩაძე**

**ლექსიკონი — ბიოლოგიური და სამედიცინო ტერმინები თბილისი, 2011 წ 442 გვ.**

ლექსიკონი მოიცავს ბიოლოგიისა და მედიცინის დარგებს. მოყვანილია ტერმინები, ცნებები, სიტყვათა კომბინაციები, რომლებიც განსაკუთრებით ხშირად გვხვდება სამედიცინო-ბიოლოგიური შინაარსის სამეცნიერო ლიტერატურაში. აღწერილია სხვადასხვა დაავადება, მათი გამომწვევი მიზეზების ბიოლოგიური ასპექტები. გაშუქებულია ციტოლოგიის, ჰისტოლოგიის, მიკრობიოლოგიის, გენეტიკის, ეკოლოგიის, ბოტანიკის, ზოოლოგიის, სამედიცინო პარაზიტოლოგიის, სამკურნალო მცენარეების, ბიოტექნოლოგიის, იმუნოლოგიის, ემბრიოლოგიის და სხვა დისციპლინათა ძირითადი საკითხები, ბაქტერიულ-ვირუსული და სხვა ეტიოლოგიის ძირითადი დაავადებები; შეიცავს 5200-ზე მეტ განსაკუთრებულად გავრცელებულ ცნებას, სიტყვათა კომბინაციასა და ტერმინს; მოყვანილია მათი ეტიოლოგია, განმარტება, სინონიმები.




ლექსიკონი განკუთვნილია ბიოლოგების, მედიკოსების, მონათესავე დისციპლინების სპეციალისტებისა და მკითხველთა ფართო წრისთვის; დაეხმარება პედაგოგებს და სტუდენტებს.

**იპოლიტე (ჯემალ) მონიავა**

**მაგისტრალურ წამალთა ტექნოლოგია, თბილისი, კარტოგრაფია, 2011 წ, 294 გვ (II გამოცემა)**

სახელმძღვანელოში დასაბუთებულია რომ, მიუხედავად ოფიციალური მზა წამლის ფორმების მრავალი უპირატესობისა, საათფთიაქოექსტემპორალური (მაგისტრალური) წამლის ფორმებსაც მათთან შედარებით გარკვეული უპირატესობა გააჩნია: ისინი, მზა წამლის ფორმებისგან განსხვავებით, არასტანდარტული შედგენილობისაა — მზადდება ექიმის შეხედულებისამებრ მრავალკომპონენტიანი რეცეპტის მიხედვით, რომლის შედგენისას გათვალისწინებულია ავადმყოფის ინდივიდუალური, ფიზიკური, სუბიექტური მახასიათებლები (ასაკი, სქესი, წონა და სხვ.), დაავადების მიმდინარეობის ხასიათი და ფორმა, ფუნქციური მოშლილობანი და გართულებები და სხვ., რის გამოც მაგისტრალური რეცეპტის მიხედვით მომზადებული წამალი შედარებით უფრო რაციონალურ ფორმას წარმოადგენს. რიგ შემთხვევაში მათი თერაპიული ეფექტი უფრო მრავალფეროვანი და მაღალია, ვიდრე მზა წამლის ფორმის. რეკომენდებულია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაცევტული ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტთათვის, დახმარებას გაუწევს ფარმაციის დარგში მომუშავე სპეციალისტებს.




**მალხაზ კაციაშვილი, ლაშა ჩანტლაძე**

**კარდიოლოგია კარდიოგრამებში თბილისი, 2011 წ, 163 გვ.**

სახელმძღვანელოში მარტივადაა გადმოცემული კარდიოლოგიური და ექსტრაკარდიოლოგიური პათოლოგიისთვის დამახასიათებელი ელექტროკარდიოგრაფიული ცვლილებები. თანმიმდევრულადაა განხილული ნორმალური კარდიოგრამის მახასიათებლები, პათოლოგიური მდგომარეობის განვითარებისას სხვადასხვა სახის ელექტროკარდიოგრაფიული ცვლილებები, ასევე, ელექტროგრაფიული მახასიათებლები გამოკვლეულ პირთა ასაკის გათვალისწინებით — ახალშობილებში, მუცლადყოფნის პერიოდსა და მოხუცებულ პირებში. წიგნი დაეხმარება სტაციონარის, სამედიცინო დახმარების ბრიგადების ქსელში მომუშავე პრაქტიკოს ექიმებს ელექტროკარდიოგრამის სწორ და დროულ ინტერპრეტაციაში და ჩვენებისამებრ მიზნობრივ ჰოსპიტალიზაციაში პროფილურ სტაციონარში. სახელმძღვანელოში მოყვანილი ინფორმაცია დახმარებას გაუწევს, ასევე, სტუდენტებს, რეზიდენტებს და პრაქტიკულ ქსელში მომუშავე ზოგადი პროფილის ექიმებს.




# ს ა მ ძ ი მ ა რ ი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, მედიცინის ფაკულტეტის დეკანატი, კანისა და ვენსნეულებათა დეპარტამენტი, „სამედიცინო გაზეთის“ რედაქცია მწუხარებას გამოთქვამენ დეპარტამენტის პროფესორის, **ნინო ცისკარიშვილის** მეუღლის,

**სოსო ცისკარიშვილის**

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახს.

---

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, ცენტრალური ბუღალტერია, ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი, „სამედიცინო გაზეთის“ რედაქცია მწუხარებას გამოთქვამენ ცენტრალური ბუღალტერიის უფროსი სპეციალისტის, **ციალა გვასალიას** მეუღლის,

**ოთარ (მალხაზ) გვასალიას**

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახს.

---

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი, „სამედიცინო გაზეთის“ რედაქცია მწუხარებას გამოთქვამენ შემოსავლების დაგეგმვის და ხარჯების მონიტორინგის განყოფილების უფროსის, ბატონი **იუზა ადეიშვილის** დედის,

**ოლია ადეიშვილის**

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახს.

---

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანატი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი, „სამედიცინო გაზეთის“ რედაქცია მწუხარებას გამოთქვამენ საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, პროფესორ **ირაკლი მჭედლიშვილის** დედის,

**მერი ნადირაშვილის**

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახს.

---

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, სპორტისა და ხელოვნების ცენტრი, „სამედიცინო გაზეთის“ რედაქცია მწუხარებას გამოთქვამენ ცენტრის თანამშრომლის, ქალბატონი **ზოია ცაგარელის** ძმის,

**გურამ ცაგარელის**

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახს.

---

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, ქართული სამედიცინო და ფარმაცევტული ტერმინოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი, „სამედიცინო გაზეთის“ რედაქცია მწუხარებას გამოთქვამენ ცენტრის პედაგოგის, **ციცინო ქირიას** დედის,

**ელენე ჭუმბურიძის**

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახს.

---

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, პრევენციული მედიცინისა და გარემოს ჯანმრთელობის დეპარტამენტი, „სამედიცინო გაზეთის" რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ დეპარტამენტის თანამშრომლების **მარეხ ქვარცხავას** და **ნინო ლომთათიძის** შვილისა და შვილიშვილის,

**საბა მურადაშვილის**

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახს.

---

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, ფარმაციის ფაკულტეტის დეკანატი, ფარმაცევტული და ტოქსიკოლოგიური ქიმიის დეპარტამენტი, „სამედიცინო გაზეთის“ რედაქცია მწუხარებას გამოთქვამენ ფარმაციის ფაკულტეტის დეკანის მოადგილის, დეპარტამენტის პროფესორის, **თამარ ჩიკვილაძის** მამის,

**გურამ ჩიკვილაძის**

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახს.

---

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, ქართული სამედიცინო და ფარმაცევტული ტერმინოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი, „სამედიცინო გაზეთის“ რედაქცია მწუხარებას გამოთქვამენ ცენტრის სასწავლო ნაწილის გამგის, **თამრიკო კანთელაძის** მეუღლის,

**კოტე ძაძამიას**

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახს.